დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში
განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო
პროგრამებისთვის

ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 7.5.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20.07.2026

თბილისი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404535813
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სეიფედინ კადრი, ნოროფის უნივერსიტეტის კოლეჯი, ნორვეგია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მიხეილ რუხაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ალექსანდრე კალანდაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	VII.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[1]	I - კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი II - კომპიუტერული მეცნიერების კვლევის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613.1.2 კომპიუტერული მეცნიერება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[2]	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	I - 60 კრედიტი II - 60 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა	

---

[1] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[2] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" არის ახალი ინტერდისციპლინური პროგრამა, რომელიც შემუშავებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების, ასევე თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. მისი მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებსაც შეეძლებათ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება როგორც ბიზნესში, ისე კომპიუტერულ მეცნიერებაში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, რომელმაც გამოავლინა დიდი მოთხოვნა ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა ანალიზისა და ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების სფეროებში ინტეგრირებული კომპეტენციების მქონე სპეციალისტებზე. პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა მისი საერთაშორისო პარტნიორობა W. P. Carey-ის ბიზნესის სკოლასთან, რომელიც ხორციელდება „1+1“ ორმაგი ხარისხის მოდელის ფარგლებში. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს ერთობლივად შემუშავებულ სასწავლო გეგმას, აკადემიური პერსონალის ერთობლივ ჩართულობას, კურსების ორმხრივ აღიარებასა და საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს და მოიცავს სავალდებულო ტექნიკურ და კვლევით სასწავლო კურსებს, არჩევითი სპეციალიზაციის კურსებს და 24 ECTS კრედიტის მოცულობის დამოუკიდებელ კვლევით პროექტს. სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, რაც ხელს უწყობს პროგრამის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდასა და საერთაშორისო სტუდენტების მობილობას. პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს ისეთი პროფესიული საქმიანობებისთვის, როგორიცაა AI Solutions Architect, Machine Learning Engineer, Chief AI Officer და AI Product Manager, უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას, რაც პროგრამის მდგრად და მაღალხარისხიან განხორციელებას უწყობს ხელს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის შეფასება 2026 წლის 7 მაისს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჰიბრიდულ ფორმატში განხორციელდა: ქართველი ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები ინტერვიუებს ადგილზე ესწრებოდნენ, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც უცხოეთში იმყოფებოდა, პროცესში დისტანციურად ჩაერთო. აკრედიტაციის ექსპერტებმა 6 მაისს ონლაინ ფორმატში გამართეს წინასწარი შეხვედრა, სადაც პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე განიხილეს წინასწარი მიგნებები და დაგეგმეს შეფასების პროცესის დეტალები. ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა შეხვედროდა პროგრამის ყველა შიდა და გარე მონაწილე მხარეს, ასევე დაეთვალიერებინა და შეეფასებინა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს ინტერვიუები ჩაატარა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, აგრეთვე დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, შეხვედრები თანამშრომლობით და კეთილგანწყობილ გარემოში მიმდინარეობდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 1.1, 1.2, 1.4, 1.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 1.3 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 2.1- 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 3.1, 3.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 4.1, 4.2, 4.3 4.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 4.4, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტის კომპონენტი 5.1, 5.3 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტის კომპონენტი 5.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესებში, ასევე არსებული შეფასების მეთოდოლოგიის თაობაზე მათი ცნობიერების და ცოდნა-გააზრების ამაღლება.

4.4 მატერიალური რესურსი

რეკომენდებულია, ყველა სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა იყოს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი, განახლებული და სრულად შეესაბამებოდეს დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

რეკომენდებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერება პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის ყველა შესაბამისი ინსტრუმენტის სრულად გამოყენება, მათ შორის, ბენჩმარკინგის ანალიზისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების უფრო სიღრმისეული ანალიზის განხორციელება.

- **რჩევები**

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

სასურველია, პროგრამის ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის (PLO) მიღწევის დონე, რაც უზრუნველყოფს პირველი და მეორე სასწავლო წლებისთვის განსაზღვრული მიღწევების მკაფიო დიფერენცირებას.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სასურველია, საჭიროების შემთხვევაში უფრო მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ხელმძღვანელთა კვალიფიკაციას, მენტორობის სქემებს, შეფასების პროცედურებსა და შეფასებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს.

სასურველია, დამსაქმებლებთან გაფორმებულ შეთანხმებებთან დაკავშირებული დოკუმენტური მტკიცებულებების საჭიროების შემთხვევაში უფრო ნათლად წარმოდგენა, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკის მიზნები და შედეგები, პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტრუქტურა, ზედამხედველობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები, აგრეთვე, პრაქტიკის შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

სასურველია, საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება, რომელშიც მოცული იქნება კულტურული ინკლუზიურობის ხელშემწყობი ღონისძიებები, ენობრივი მხარდაჭერის სერვისები, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების ადაპტირების შესაძლებლობები სტუდენტთა მრავალფეროვანი გამოცდილებისა და სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით.

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს ან სათანადოდ დაასაბუთოს ბიუჯეტი იმგვარად, რომ იგი ასახავდეს პროგრამის რეალურ სტრუქტურას, მათ შორის ერთწლიანი და ორწლიანი სწავლების ტრაექტორიებს, სწავლის გაგრძელების პირობებს, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის სცენარს, შემოსავლების განაწილებასა და შესაბამის ფინანსურ დანახარჯებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

  პროგრამის გამორჩეული მახასიათებელია მისი საერთაშორისო პარტნიორობა W. P. Carey-ის ბიზნესის სკოლასთან, რომელიც ხორციელდება „1+1“ ორმაგი ხარისხის მოდელის ფარგლებში.

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტს წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისთვის. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა უნივერსიტეტის არგუმენტაციას და რეკომენდაციები 2.2, 2.3 და 4.5 რეკომენდაციების ნაწილიდან გადაიტანა რჩევების ნაწილში. დანარჩენი მიგნებები უცვლელი რჩება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:
- **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 12 აკადემიური პერსონალისგან შემდგარი კვალიფიციური აკადემიური გუნდი; ისინი ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებასა და შემდგომ განვითარებაში. მათგან 10 აკადემიური პერსონალი ფლობს ხელოვნური ინტელექტის, ბიზნესისა და მომიჯნავე ინტერდისციპლინური სფეროების შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის მჭიდრო შესაბამისობას ინდუსტრიისა და აკადემიური სფეროს თანამედროვე მოთხოვნებთან. გარდა ამისა, 4 აკადემიური პერსონალი ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს შესაბამის დარგობრივ მიმართულებაში, რაც განაპირობებს პროგრამის კვლევაზე ორიენტირებულობას და მაღალ აკადემიურ ხარისხს. აკადემიური შემადგენლობაში შედიან 2 პროფესორი, 2 ასოცირებულ პროფესორი და 8 ასისტენტ-პროფესორი. ორივე პროფესორი ფლობს დარგობრივ კომპეტენციას; ამათგან ერთი მათგანი მოწვეული აკადემიური პერსონალია. რაც შეეხება ასოცირებულ პროფესორებს, ერთი ფლობს დარგობრივ კომპეტენციას, ხოლო ერთი — დოქტორის აკადემიურ ხარისხს შესაბამის დარგობრივ მიმართულებაში. ასისტენტ-პროფესორებს შორის შვიდი ფლობს დარგობრივ კომპეტენციას, ერთი — დოქტორის აკადემიურ ხარისხს შესაბამის დარგობრივ მიმართულებაში, ხოლო სამი მოწვეული აკადემიური პერსონალის წარმომადგენელია. პროგრამა ძირითადად ეყრდნობა შტატით დასაქმებულ აკადემიურ პერსონალს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სტაბილურობასა და მდგრადობას. აფილირებული და ძირითადი აკადემიური პერსონალის დაბალანსებული შემადგენლობა უზრუნველყოფს აკადემიური პროცესის უწყვეტობას და ამავდროულად იძლევა შესაძლებლობას, პროგრამაში ინტეგრირდეს სპეციალიზებული ექსპერტიზა და პრაქტიკული გამოცდილება. ამ ეტაპზე პროგრამა არ ითვალისწინებს მოწვეული, სამეცნიერო ან საერთაშორისო პერსონალის ცალკე კატეგორიებს; თუმცა ინტერნაციონალიზაცია გაძლიერებულია W. P. Carey-ს ბიზნესის სკოლასთან

პარტნიორობისა და Cintana Alliance-ის ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობების მეშვეობით. მაგისტრანტების ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კვლევითი კომპონენტის და დამოუკიდებელი სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მიერ, რომელთა კომპეტენცია შეესაბამება სტუდენტების საკვლევ თემატიკას. სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა, აგრეთვე სამუშაო დატვირთვის განაწილება იმგვარად არის დაგეგმილი, რომ უზრუნველყოს ეფექტური აკადემიური ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელობის სათანადო ხარისხი და საკმარისი დრო კვლევითი პროცესის მხარდაჭერისა და კონსულტაციებისათვის.

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი ავლენს აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში, რაც ადასტურებს სამაგისტრო პროგრამის მკაფიო კვლევით ორიენტაციას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამის პერსონალმა გამოაქვეყნა დაახლოებით 350 სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი და განახორციელა კვლევითი აქტივობები. მათ შორისაა 50 პუბლიკაცია ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებში და 170 პუბლიკაცია საერთაშორისო ჟურნალებში, რაც მიუთითებს აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვან ჩართულობაზე საერთაშორისო დონეზე აღიარებულ კვლევით საქმიანობასა და სამეცნიერო შედეგების გავრცელებაში. საერთაშორისო პუბლიკაციების დიდი რაოდენობა განსაკუთრებით ადასტურებს პროგრამის აკადემიურ ხარისხს, კვლევით ხილვადობასა და მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან ხელოვნური ინტელექტის, კომპიუტერული მეცნიერებებისა და ბიზნესის სფეროებში. აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, რაც ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებასა და პროფესიულ ქსელებში ჩართულობას. საანგარიშო პერიოდში პერსონალმა წარადგინა 40 მოხსენება ადგილობრივ და 90 მოხსენება საერთაშორისო კონფერენციებზე, რაც ადასტურებს მათ აქტიურ ჩართულობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო აკადემიურ საზოგადოებაში. პუბლიკაციების გამოქვეყნებისა და კონფერენციებში მონაწილეობას გარდა, აკადემიური პერსონალი ჩართულია 50-ზე მეტ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტში. ამ პროექტებში მონაწილეობა აძლიერებს კვლევისა და სწავლების ინტეგრაციას, ხელს უწყობს პროგრამის ფარგლებში ინოვაციების განვითარებას და ზრდის თანამშრომლობის შესაძლებლობებს აკადემიურ, ინდუსტრიულ და საერთაშორისო პარტნიორებთან. საერთო ჯამში, აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებლები ადასტურებს პროგრამაში ჩართული პერსონალის ძლიერ აკადემიურ და კვლევით შესაძლებლობებს.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

  არ არის წარმოდგენილი.
- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

  არ ეხება
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1.3	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**მეტწილად შესაბამისობაშია**
1.4.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია**
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	**შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები;	**შესაბამისობაშია**
2.4	სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია**
3.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია**
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.2	4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია**
4.3	4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4.4	მატერიალური რესურსი	**მეტწილად**

		შესაბამისობაშია
4.5.	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია**
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**მეტწილად შესაბამისობაშია**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**მეტწილად შესაბამისობაშია**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

<u>**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები**</u>
<u>**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო**</u>
<u>**რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე**</u>
<u>**შეფასების კრიტერიუმები**</u>

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა "ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" აჩვენებს შესაბამისობას აღნიშნული სტანდარტის ამ კომპონენტთან. პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული და შეესაბამება სფეროს ინტერდისციპლინურ ხასიათს — იგი აერთიანებს ხელოვნური ინტელექტის სფეროში მიღებულ სიღრმისეულ ცოდნასა და კომპეტენციებს ბიზნესში მათ გამოყენებასთან და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან. მიზნები რეალისტური და მიღწევადია მეორე საფეხურის კვალიფიკაციისთვის და სათანადოდ პასუხობს იმ მოლოდინებს, რომლებიც კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამისადმი არის წარდგენილი ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის სპეციალიზაციის კონტექსტში.

პროგრამას აქვს ხუთი კარგად სტრუქტურირებული მიზანი, რომლებიც ერთობლიობაში მოიცავს ტექნიკურ კომპეტენციებს, ანალიტიკურ შესაძლებლობებს, ეთიკურ ცნობიერებას, ლიდერულ კომპეტენციებს და სამეცნიერო კვლევისთვის მზადყოფნას. მიზნები ასახავს თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკულ გამოყენებას შორის დაბალანსებულ მიდგომას, რაც შეესაბამება ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე განვითარების ტენდენციებს სხვადასხვა ინდუსტრიაში. მიზნები სათანადოდ ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ხელოვნური ინტელექტის სისტემების დიზაინზე, დანერგვაზე, მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებაზე, MLOps-ის პრაქტიკებზე, ხელოვნურ

ინტელექტის ეთიკურ გამოყენებაზე, კიბერუსაფრთხოების ასპექტებსა და ბიზნესთან ინტერდისციპლინარულ ინტეგრაციაზე. მიზნები მკაფიოდ წარმოაჩენს თანამედროვე ორგანიზაციებში ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტების როლის განვითარების დინამიკას.

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. ტექნიკური კომპეტენციების მიღწევას უზრუნველყოფს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემების შემუშავება და დანერგვა, ხოლო ანალიტიკური და გადაწყვეტილების მიღების უნარები ძლიერდება მონაცემთა მეცნიერების აპლიკაციებისა და ბიზნეს ანალიტიკის გამოყენებით. გარდა ამისა, პროგრამა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ტრანსფერულ და პროფესიულ კომპეტენციებს, მათ შორის ლიდერობას, არატექნიკური პროფილის დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას, დაინტერესებული მხარეების მართვასა და ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას. ეთიკური და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის განვითარების კომპონენტის ინტეგრირება ადასტურებს, რომ პროგრამა შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ კრიტერიუმებს, რაც გულისხმობს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიბით გამოყენებას, კონფიდენციალურობას, გამჭვირვალობასა და მიკერძოების შემცირებას.

პროგრამის მიზნები ასევე ასახავს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ გამოყენებაზე, უსაფრთხო ინტელექტუალურ სისტემებსა და მონაცემებზე დაფუძნებული ბიზნეს ინოვაციების დანერგვაზე გაკეთებული აქცენტი ასახავს სანდო ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების მიმართ მზარდ ინტერესს როგორც საზოგადოებრივი, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. პროგრამის მიზანი, მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ ხელოვნური ინტელექტის დანერგვისა და განვითარების პროცესების ხელმძღვანელობას, პირდაპირ უწყობს ხელს ტექნოლოგიურ პროგრესს, ციფრულ ინოვაციასა და ეკონომიკურ განვითარებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ გეგმას. დოკუმენტაცია ადასტურებს მიზნების შესაბამისობას აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება და მოამზადოს ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ლიდერები. გარდა ამისა, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის W. P. Carey-ის ბიზნესის სკოლასთან თანამშრომლობა დამატებით აძლიერებს პროგრამის სტრატეგიულ და საერთაშორისო მიმართულებას. მიზნები მხარს უჭერს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ მისწრაფებებს დაინერგოს ინოვაციები, გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობა და შენარჩუნდეს აქტუალობა შრომის ბაზარზე.

სტანდარტთან შესაბამისობა დამატებით დასტურდება პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების უნარით. პროგრამის მიზნები მიმართულია იმ

პროფესიონალების დეფიციტის აღმოფხვრისკენ, რომლებიც აერთიანებენ ხელოვნური ინტელექტის სფეროში მოწინავე ტექნიკურ ცოდნასა და ბიზნესის სტრატეგიულ ხედვას. პროგრამა ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს და ამზადებს კურსდამთავრებულებს იმ პოზიციებისთვის, რომლებიც მოითხოვს ხელოვნური ინტელექტის დანერგვას, ბიზნეს-ინტელექტს, ციფრული ტრანსფორმაციის ხელმძღვანელობასა და ინოვაციების მართვას. ტექნიკური, მენეჯერული და კვლევაზე ორიენტირებული მიზნების ინტეგრაცია განსაკუთრებით აქტუალურია ინტერდისციპლინური ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტებზე მზარდი გლობალური მოთხოვნის გათვალისწინებით.

პროგრამაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინტერნაციონალიზაციას. პროგრამის მიზნები შეესაბამება ხელოვნური ინტელექტის განათლების სფეროში არსებულ საერთაშორისო განვითარებასა და გლობალური ინდუსტრიის მოლოდინებს. ისეთი თემები, როგორიცაა პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტი, გამჭვირვალობა (explainability), MLOps, მონაცემთა კონფიდენციალურობა, ინტერდისციპლინური თანამშრომლობა და კვლევითი ინოვაცია, აქტუალურია საერთაშორისო მასშტაბით და შეესაბამება მსოფლიოს წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეთავაზებულ თანამედროვე AI პროგრამებს. გარდა ამისა, საერთაშორისოდ აღიარებულ ინსტიტუტთან პარტნიორობა ხელს უწყობს პროგრამის გლობალურ ორიენტაციას და აკადემიურ აქტუალობას.

მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამის მიზნები ყოვლისმომცველია და სტრატეგიულად თანმიმდევრულია; აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნული მიზნების გავრცელებას და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას მათი განსაზღვრისა და გადახედვის პროცესში.

საერთო ჯამში, პროგრამა შესაბამისობაშია 1.1 სტანდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- საგანმანათლებლო პროგრამა

- უნივერსიტეტის წესდება
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის წესდება;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები ყოვლისმომცველია, სათანადოდ სტრუქტურირებულია და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციის დონეს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები ერთობლივად ასახავს პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათს — აერთიანებს მოწინავე ცოდნას ხელოვნური ინტელექტის, კომპიუტერული მეცნიერების, ბიზნეს სტრატეგიის, ინოვაციის, ეთიკისა და ლიდერობის სფეროებში.

პროგრამა აერთიანებს თერთმეტ სწავლის შედეგს, რომელიც მოიცავს ცოდნას, გაცნობიერებას, უნარებსა და ავტონომიურობას. აღნიშნული სტრუქტურა ასახავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლესი განათლების ჩარჩოებთან შესაბამისობას და ადასტურებს, რომ შეესაბამება მეორე საფეხურის კვალიფიკაციისთვის განსაზღვრულ მოლოდინებს. პროგრამის სწავლის შედეგები ეფექტურად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს და ერთობლივად მოიცავს ცოდნის ძირითად სფეროებს, პროფესიულ უნარებსა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტებს, რომლებიც ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისგან არის მოსალოდნელი.

სწავლის შედეგები ზოგადად გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტურია. ისეთი გაზომვადი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენება, როგორიცაა „აანალიზებს“, „აფასებს“, „აპროექტებს“, „გამოიყენებს“, „ავითარებს“, „ხსნის“, „აფასებს“, „გეგმავს“ და „იკვლევს“, ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს სწავლებას, სასწავლო აქტივობებსა და შეფასების მეთოდებს შორის კონსტრუქტიულ შესაბამისობას. სწავლის შედეგები შესაბამისად ასახავს სამაგისტრო საფეხურზე მოსალოდნელ მაღალი დონის შემეცნებით სირთულეს. კერძოდ, აქცენტი გაკეთებულია ანალიზისა და შეფასების, სტრატეგიული აზროვნების, ინოვაციური მიდგომების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისა და კვლევითი უნარების განვითარებაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მეორე საფეხურის მოთხოვნებს — აქცენტი გაკეთებულია მოწინავე თეორიულ ცოდნაზე, სპეციალიზებული პროფესიული ცოდნის გამოყენების უნარზე, დამოუკიდებელ მსჯელობაზე, ინოვაციასა და კვლევით შესაძლებლობებზე. კერძოდ, სწავლის შედეგები 3, 6, 9 და 11 ასახავს მაღალი დონის კომპეტენციებს, რომლებიც უკავშირდება რთული სისტემების დაპროექტებას, ინოვაციების მართვას, დამოუკიდებელ შეფასებას და კვლევასა და ცოდნის გენერირებაში წვლილის შეტანას. ეთიკაზე, გამჭვირვალობაზე,

კონფიდენციალურობასა და სამართლებრივი შესაბამისობის საკითხებზე გაკეთებული აქცენტი კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის შესაბამისობას ხელოვნური ინტელექტის დარგში არსებულ თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები ასევე მკაფიოდ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და დარგის სპეციფიკას. პროგრამა წარმატებით აერთიანებს ხელოვნური ინტელექტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციებს ბიზნესზე ორიენტირებულ ანალიტიკურ და სტრატეგიულ შესაძლებლობებთან, რაც პროგრამას განასხვავებს როგორც წმინდა ტექნიკური ხელოვნური ინტელექტის, ასევე ზოგადი ბიზნეს-ანალიტიკის პროგრამებისგან. პროგრამაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის, მანქანური სწავლების მეთოდოლოგიების, ICT-სისტემების ინტეგრაციის დაგეგმვის, ინოვაციის, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და ეთიკის პრინციპების ინტეგრირება იმაზე მეტყველებს, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა არის თანამედროვე, ინტერდისციპლინური და გამოყენებითი სპეციალობა.

სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამა ცალსახად შესაბამისობაშია ICT უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან და არიზონის შტატის უნივერსიტეტის W. P. Carey ბიზნესის სკოლის კურიკულუმთან. გარდა ამისა, სწავლის შედეგები ასახავს მიმდინარე გლობალურ და ადგილობრივ შრომის ბაზრის მოთხოვნებს იმ პროფესიონალებზე, რომლებსაც შეუძლიათ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ორგანიზაციულ და ბიზნეს გარემოში ინტეგრირება. სწავლის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია AI გადაწყვეტილებების შემუშავებასთან, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებასთან, ინოვაციასთან, ლიდერობასა და კომუნიკაციასთან სრულად პასუხობს ციფრული ტრანსფორმაციისა და AI-ზე დაფუძნებული ინდუსტრიების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამა ასევე ხელს უწყობს კურსდამთავრებულების წინსვლას აკადემიური და პროფესიული განვითარების მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სწავლის შედეგები N10 და N11, რომლებშიც ნათლად არის ფორმულირებული, რომ კურსდამთავრებული მზადაა უწყვეტი განათლებისთვის, კვლევით პროცესებში

ჩართულობისთვის და შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე ან განაგრძოს კვლევაზე ორიენტირებული პროფესიული საქმიანობა. კვლევითი ძიებისა და ინოვაციაზე ორიენტირებული კომპეტენციების პროგრამაში ინტეგრირება განსაკუთრებით მიზანშეწონილია სამაგისტრო დონის პროგრამისთვის და ხელს უწყობს აკადემიური განვითარების შემდგომ შესაძლებლობებს.

პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს სწავლის შედეგების ლოგიკური და პედაგოგიური პროგრესია სამივე მიმართულებით. სწავლის შედეგების თანმიმდევრობა — მოწინავე ცოდნის ათვისებიდან (სწავლის შედეგი N1 და N 3) პრაქტიკულ პროფესიულ უნარებამდე (სწავლის შედეგი N4 და N 8) და ავტონომიურ, დამოუკიდებელ პროფესიულ განვითარებამდე (სწავლის შედეგი N9 და N11) - აჩვენებს განვითარების ლოგიკურ სტრუქტურას, რომელიც სრულად შეესაბამება სამაგისტრო განათლების პრინციპებს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განმარტება „გაღრმავებიდან" (მე-2 საფეხური) „განმტკიცებამდე" (მე-3 საფეხური) გადასვლის შესახებ კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს კომპეტენციების სისტემატურ განვითარებას პროგრამის განმავლობაში. ეტაპობრივი მიღწევის ეს მოდელი პედაგოგიური თვალსაზრისით სწორად არის აგებული და ადასტურებს კურიკულუმის თანმიმდევრულობას.

მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა კიდევ უფრო ამყარებს ამ შესაბამისობას, რადგან მკაფიოდ აჩვენებს კონსტრუქციულ თანხვედრას პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის. წარმოდგენილი რუკა ნათლად აჩვენებს, რომ პროგრამის თითოეული მიზნის მიღწევას რამდენიმე სწავლის შედეგი უზრუნველყოფს და რომ არცერთი სწავლის შედეგი არ არსებობს პროგრამის სტრატეგიული მიზნებისგან დამოუკიდებლად. ეს მიდგომა ადასტურებს კურიკულუმის გააზრებულ დაგეგმვას და სწავლის შედეგების თანმიმდევრულ ინტეგრაციას.

აღნიშნული ინფორმაცია ასევე ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას დაინტერესებული მხარეებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; არსებობს მტკიცებულება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესახებ სწავლის შედეგების შემუშავებაში და ამ შედეგების ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან

კომუნიკაციის მექანიზმების შესახებ. გარდა ამისა, ინტერვიუებში იკვეთება დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, ინდუსტრიის ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა სწავლის შედეგების შემუშავებისა და გადახედვის პროცესში.

ანალოგიურად, დაწესებულება მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები დაინტერესებულ მხარეებს აწვდიან ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ.

კლასტერული თანმიმდევრულობისა და საგანმანათლებლო საფეხურებს შორის პროგრესიის თვალსაზრისით, პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მიღწევის მე-2 დონის (გაღრმავება) და მე-3 დონის (განმტკიცება) ერთმანეთისგან გამიჯვნა მიუთითებს კვალიფიკაციის ჩარჩოს ფარგლებში პროგრესიაზე და მზარდი სირთულის გათვალისწინებას.. ეს ადასტურებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო ციკლის მოლოდინების გათვალისწინებით და ასახავს კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე.

პროგრამა აღიარებს, რომ ზოგიერთი სწავლის შედეგი მე-3 დონეს (განმტკიცება) აღწევს პირველ წელს, ხოლო სხვები — მეორე წლის ბოლოს. გამჭვირვალობის მიზნით, ეს ინფორმაცია შესაძლებელია გამოქვეყნდეს პროგრამის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

სასურველია, პროგრამის ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დონე, რაც უზრუნველყოფს პირველი და მეორე სასწავლო წლებისთვის განსაზღვრული მიღწევების მკაფიო დიფერენცირებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ოფიციალურად განსაზღვრული, თანმიმდევრული მექანიზმი. დაწესებულების მეთოდოლოგია განსაზღვრავს შეფასების სრულ ციკლს, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგების ფორმულირებას, კურიკულუმის ანალიზს, შედეგების შეფასებას და მიღებული მონაცემების გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესებისთვის. მეთოდოლოგია მოითხოვს, რომ სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის დონეს, პროგრამის მიზნებს, შრომის ბაზრის საჭიროებებს, საერთაშორისო პრაქტიკას და კურიკულუმის სტრუქტურას.

წარმოდგენილი პროგრამის რუკები და შეფასების მატრიცა ასახავს ამ მიდგომას: პროგრამის სწავლის შედეგები უკავშირდება მიზნებს, თანმიმდევრულად ვითარდება სავალდებულო კომპონენტების მეშვეობით და ფასდება განსაზღვრული

ინსტრუმენტების, პერიოდების, პასუხისმგებელი მექანიზმებისა და სამიზნე ნიშნულების საფუძველზე.

შეფასების სისტემა შეესაბამება პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათს და სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. იგი აერთიანებს პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს და მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს. პირდაპირი შეფასება დაგეგმილია გამოცდების, შემთხვევის ანალიზის (case analysis), დასკვნითი შეფასებების, კვლევითი წინადადების (research proposal), ზეპირი პრეზენტაციის, კვლევითი პროექტის ნაშრომის, ხელმძღვანელის შეფასებისა და შემაჯამებელი ტიპის შეფასების საშუალებით. აღნიშნული შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს კვლევითი კომპეტენციების სათანადო შეფასებას. არაპირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტთა თვითშეფასებას, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, დასაქმების მაჩვენებლებს, აკადემიურ მიღწევებს, საშუალო ქულას (GPA) და პროგრამის დასრულების მაჩვენებელს. შესაბამისად, გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ძირითადად აისახება დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირში, თუმცა პროფესიული ასოციაციებისა და ინდუსტრიის ფართო წარმომადგენლების კონკრეტული ჩართულობა დამატებით დაზუსტებას საჭიროებს.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული. სისტემა გულისხმობს რეალური შედეგების შედარებას სამიზნე მაჩვენებლებთან და ითვალისწინებს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას იმ შემთხვევაში, თუ შედეგები ვერ აღწევს მოსალოდნელ დონეს. შესაძლო გაუმჯობესების ღონისძიებები მოიცავს სასწავლო კურსის შინაარსის, კრედიტების რაოდენობის, საკონტაქტო საათების, კურსების ლოგიკური თანმიმდევრობის, წინაპირობების, შეფასების მეთოდებისა და სასწავლო რესურსების გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში მათ განახლებას. გარდა ამისა, სასწავლო კურსის დონეზე სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით. სამიზნე ნიშნულიდან მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები, წინაპირობები, ჯგუფის ზომა და სასწავლო პროცესის ორგანიზება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს სწავლის შედეგების შეფასების პროცესს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის განვითარების კომიტეტი პასუხისმგებელნი არიან შეფასების განხორციელებაზე, შედეგების ანალიზსა და გაუმჯობესების გადაწყვეტილებების მიღებაზე. დოკუმენტებში ასახულია აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა შეფასების

პროცესში, რაც ხელს უწყობს პერსონალის ინფორმირებულობას აღნიშნული მექანიზმის შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელებმა აჩვენეს, რომ კარგად იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიას, რუკებსა და ინდიკატორებს. თუმცა, სასურველია გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა. შედარებით შეზღუდული იყო შეფასების მექანიზმების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით ინფორმირებულობის დონე, ასევე შესაბამისი მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია და მექანიზმები ჯერ სრულად არ არის დანერგილი, განვითარების ეტაპზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის უფრო ფართო ჩართულობა გააძლიერებდა ინსტიტუციურ პასუხისმგებლობას და შეფასების პროცესების გააზრებას.

მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისთვის შეფასების შედეგებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას, თუმცა დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმი საჭიროებს დამატებით დაზუსტებას.

ვინაიდან პროგრამა ახალია, პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების შეფასების ციკლი ჯერ არ არის დასრულებული და შეფასების ანგარიში არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, სისტემის ეფექტიანობა ამ ეტაპზე ვერ დადასტურდება განხორციელებული შედეგების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია - შესაბამისობის რუკები

[რეკომენდაციები](#).

- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესებში, ასევე არსებული შეფასების მეთოდოლოგიის თაობაზე მათი ცნობიერების და ცოდნა-გააზრების ამაღლება.

- .

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" მეტწილად შეესაბამება განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტის მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის მიმართულებით. პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების ოფიციალური მეთოდოლოგიის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური რეგულაციების შესაბამისად. შემუშავების პროცესმა უზრუნველყო ინსტიტუციურ პროცედურებთან შესაბამისობა და შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

პროგრამის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ოთხ სემესტრზე განაწილებულ 120 ECTS კრედიტს, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეორე საფეხურის (მაგისტრის) მოთხოვნებს. კურიკულუმის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს მოწინავე ცოდნის, ანალიტიკური უნარების, კვლევითი კომპეტენციებისა და პროფესიული ავტონომიის თანმიმდევრულ განვითარებას.

სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესიას საბაზისო და ტექნიკური კომპეტენციებიდან სტრატეგიულ, კვლევით და გამოყენებით კომპონენტებამდე, ბიზნეს გარემოში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების კონტექსტში. მკაფიოდ განსაზღვრული წინაპირობები და კურსების თანმიმდევრობა ხელს უწყობს პროგრამის განმავლობაში ცოდნისა და კომპეტენციების ეტაპობრივ დაგროვებას. კომპიუტერული მეცნიერების, ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა ანალიტიკისა და ბიზნეს-სტრატეგიის კომპონენტების ინტეგრაცია პროგრამას ანიჭებს გამორჩეულ ინტერდისციპლინურ ხასიათს და აძლიერებს მის შესაბამისობას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის, მანქანური სწავლების, კიბერუსაფრთხოების, მონაცემთა ბაზების, მონაცემთა ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის ძირითად კურსებს ავსებს კვლევაზე ორიენტირებული და პრაქტიკაზე დაფუძნებულ კომპონენტები, მათ შორის კვლევით წინადადებები, კვლევით პროექტი და კომპლექსური გამოცდილება. კურიკულუმი ასევე მოიცავს ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ, სამართლებრივ და მენეჯერულ ასპექტებს, რაც უზრუნველყოფს როგორც ტექნიკური, ისე ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას.

მიუხედავად ამისა, სასწავლო გეგმის თანმიმდევრობასთან დაკავშირებით გამოვლინდა გაუმჯობესების ერთი მიმართულება. კერძოდ, რეკომენდებულია გადაიხედოს რაოდენობრივად ინტენსიური და გამოყენებითი ხელოვნური ინტელექტის კურსების თანმიმდევრობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ოპტიმალური შესაბამისობა წინაპირობით განსაზღვრულ ცოდნასა და რთულ პრაქტიკულ კომპონენტებს შორის. წინაპირობების შესაბამისობის გაძლიერება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ანალიტიკური და ტექნიკური კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას.

პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს, საერთაშორისო სწავლების მეთოდოლოგიებს, ICT და ხელოვნური ინტელექტის დარგობრივ მახასიათებელს, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების შედარებით ანალიზს. არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის W. P. Carey Business School-თან თანამშრომლობა და Cintana Alliance-ის ჩართულობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო გეგმის ინტერნაციონალიზაციასა და მოდერნიზაციას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები და პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური მექანიზმები ადასტურებს დაშვების მოთხოვნების შესაბამისობას, სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და პროგრამის საერთო სტრუქტურას. აღწერილია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და მიმოხილვაში; თუმცა, შესაძლებელია კიდევ უფრო გაფართოვდეს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს გარე ინდუსტრიის წარმომადგენლებისა და კურსდამთავრებულების სისტემატურ ჩართულობას სასწავლო გეგმის გაუმჯობესებაში.

პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ინსტიტუციური გამჭვირვალობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. საერთო ჯამში, პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამის მოთხოვნებს და წარმოადგენს თანმიმდევრულ, თანამედროვე, კვლევაზე

ორიენტირებულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას ხელოვნური ინტელექტისა და ბიზნესის სფეროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსის სილაბუსი
- ინტერვიუს შედეგები

  [რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს, ვინაიდან კურსის სწავლის შედეგები პირდაპირ გამომდინარეობს კურსის მიზნებიდან, პროგრამის მიზნებიდან და ცალკეული კურსების შინაარსიდან, ხოლო ამავდროულად სისტემატურად არის ინტეგრირებული, რათა წვლილი შეიტანოს სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამის დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მიიღწევა ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების კუმულაციური და ინტეგრირებული წვლილის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ შესაბამისობას სასწავლო გეგმაში. შედეგად, ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული კურსი უშუალოდ უწყობს ხელს პროგრამის დონეზე განსაზღვრული კომპიუტერული მეცნიერების, ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა ანალიტიკის, ბიზნეს-სტრატეგიის, კვლევითი და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებით გაღრმავებული კომპეტენციების განვითარებას.

დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეული კურსის შინაარსის პირდაპირ შესაბამისობას მის მიერ დაგეგმილ სწავლის შედეგებზე. სასწავლო კურსები აერთიანებს ლექციებს, სემინარებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, შემთხვევების ანალიზზე დაფუძნებულ სწავლებას, ვორქშოფებს, პროექტზე დაფუძნებულ დავალებებსა და პრაქტიკულ აქტივობებს, რაც მიზნად ისახავს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებასა და განმტკიცებას. ისეთი ძირითადი კურსები, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია ინტელექტუალური სისტემებისთვის, ხელოვნური ინტელექტის პროგრამირება და მონაცემთა ანალიტიკა ბიზნესში, მანქანური სწავლება ბიზნესში, საწარმოს მონაცემთა ანალიზი და ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში, უზრუნველყოფს ტექნიკური და ანალიტიკური კომპეტენციების სისტემატურ განვითარებას, ხოლო სტრატეგიული და ინტეგრაციული კურსები,

როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის ბიზნეს სტრატეგია და ბიზნესის ტრანსფორმაცია ხელოვნური ინტელექტით, აძლიერებს მენეჯერულ, კომუნიკაციურ და ინოვაციურ შესაძლებლობებს. კვლევაზე ორიენტირებული კურსები, მათ შორის კვლევითი წინადადების წერა და კვლევითი პროექტი, ხელს უწყობენ კვლევითი და დამოუკიდებელი კვლევის კომპეტენციების მიღწევას. ეს ადასტურებს, რომ სასწავლო კურსების შინაარსი მიზანმიმართულად არის შემუშავებული, რაც უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ ECTS კრედიტების განაწილება ადეკვატურად ასახავს თითოეული კურსის მოცულობას, სირთულეს, სტუდენტის სამუშაო დატვირთვასა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს. საკონტაქტო საათებს, ლაბორატორიულ აქტივობებს, ორგანიზებულ სწავლებას, დამოუკიდებელ სწავლას, პროექტებზე მუშაობასა და შეფასების კომპონენტებს შორის ბალანსი შეესაბამება მაგისტრატურის დონის განათლების სპეციფიკას და ხელოვნური ინტელექტისა და ბიზნესის კვლევების ინტერდისციპლინურ ბუნებას. პროგრამა აერთიანებს ტექნიკურ, ანალიტიკურ, სტრატეგიულ და კვლევაზე ინტენსიურ კომპონენტებს ისე, რომ სტუდენტებს საკმარისი შესაძლებლობა ეძლევათ როგორც ხელმძღვანელობით სწავლისთვის, ასევე დამოუკიდებელი კომპეტენციების განვითარებისთვის, რაც აუცილებელია კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

უნივერსიტეტი აღწერს უწყვეტ და მრავალფეროვან შეფასების მიდგომას, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ დავალებებს, ლაბორატორიულ სამუშაოს, პროექტებს, შემთხვევების ანალიზს, პრეზენტაციებს, ქვიზებს, გამოცდებს, ურთიერთ შეფასებასა და კვლევაზე დაფუძნებულ შედეგებს. ყოველკვირეული დავალებები, ფორმატიული უკუკავშირის მექანიზმები, შუალედური და საბოლოო შეფასებები და საბოლოო შეფასებები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში, რათა თანმიმდევრულად გაიზომოს კურსის სწავლის შედეგების მიღწევა. შეფასების მეთოდებსა და დაგეგმილ სწავლის

შედეგებს შორის შესაბამისობა აჩვენებს, რომ სწავლის მიღწევები სისტემურად და თანმიმდევრულად ფასდება მთელი სასწავლო გეგმის ფარგლებში.

დაწესებულება ასევე მიუთითებს, რომ საგნობრივი კომპეტენციების მიღწევას უზრუნველყოფს ყურადღებით შერჩეული ლიტერატურა, სამეცნიერო პუბლიკაციები, ტექნიკური დოკუმენტაცია, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტები, მონაცემთა ნაკრებები, ონლაინ რესურსები და სილაბუსებში მითითებული დამატებითი სასწავლო მასალები. მასალების შერჩევა ხდება კურსის დონისა და პროგრამის დონის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ისეთი რესურსების მიწოდებას, რომლებიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის გაღრმავებას, ანალიტიკური აზროვნების განვითარებას, ტექნიკური იმპლემენტაციის უნარების განმტკიცებასა და კვლევითი კომპეტენციების გაძლიერებას. ეს ხელს უწყობს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და აძლიერებს სასწავლო მასალებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის ლოგიკურ შესაბამისობას.

უნივერსიტეტი ადასტურებს, რომ სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ასახავს თანამედროვე განვითარებას, ახალ გამოწვევებს და ბოლოდროინდელ სამეცნიერო მიღწევებს ხელოვნური ინტელექტის, კომპიუტერული მეცნიერების, მონაცემთა ანალიტიკის, კიბერუსაფრთხოებისა და ბიზნესის ტრანსფორმაციის სფეროში. კურსის რესურსები მოიცავს თანამედროვე საერთაშორისო აკადემიურ ლიტერატურას, ინდუსტრიის სტანდარტებს, ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და გამოყენებით ბიზნეს მაგალითებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან, თანამედროვე სამეცნიერო განვითარებასა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან. შესაბამისად, პროგრამის შინაარსი ინარჩუნებს აქტუალობას, თანამედროვე ხასიათს და ადეკვატურად პასუხობს ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის სწრაფად განვითარებად სფეროში მიმდინარე ცვლილებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსის სილაბუსი;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას და მიზნად ისახავს, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს გააჩნდეთ პროგრამის ათვისებისთვის საჭირო აკადემიური და ენობრივი საფუძველი. პროგრამა ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებს, თუმცა მისი კვალიფიკაცია კომპიუტერულ მეცნიერებებს მიეკუთვნება და სასწავლო გეგმა მოიცავს ტექნიკურად მოთხოვნად კომპონენტებს პროგრამირებაში, მონაცემთა ბაზებში, ალგორითმებში, მანქანურ სწავლაში, კიბერუსაფრთხოებაში, ხელოვნურ ინტელექტში, მონაცემთა ანალიტიკასა და კვლევაში. შესაბამისად, მიღების წინაპირობები უპირატესობას ანიჭებს კანდიდატებს, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის ხარისხი ან მისი ეკვივალენტური კვალიფიკაცია, სასურველია კომპიუტერულ მეცნიერებებში, საინფორმაციო ტექნოლოგიებში, პროგრამული ინჟინერიაში ან სხვა რაოდენობრივ მიმართულებებში. შესაძლებელია ისეთი კანდიდატების მიღებაც, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი სფეროს საბაკალავრო განათლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოავლენენ საკმარის აკადემიურ ცოდნას.

მიღების მოთხოვნები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, განათლების დონესთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. B2 დონის ინგლისური ენის კომპეტენციის მოთხოვნა შესაბამისია, ვინაიდან პროგრამა ინგლისურ ენაზე ხორციელდება. ასევე გამართლებულია რაოდენობრივი მსჯელობის, ანალიტიკური აზროვნების და კომპიუტერული მეცნიერების საფუძვლების დამატებითი შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებს პირველივე წლიდან უწევთ პროგრამირებასთან, ალგორითმებთან, მონაცემთა ანალიზთან, მანქანურ სწავლებასა და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებში ჩართვა.

ჩარიცხვის პროცედურები შეესაბამება ეროვნულ მოთხოვნებს: საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი სამაგისტრო გამოცდები, ხოლო საერთაშორისო სტუდენტების მიღება, მობილობა, ტრანსფერი, კრედიტების აღიარება და გამოცდების

გარეშე მიღება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს აკადემიური მომზადების შეფასების ალტერნატიულ გზებს, მათ შორის სტანდარტიზებულ ტესტებს, როგორიცაა GMAT/GRE, ან ინსტიტუციურ შეფასებებს რაოდენობრივ აზროვნებასა და კომპიუტერული მეცნიერების საფუძვლებში.

მიღების პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია, ხოლო თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ შესაბამისი რეგულაციები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (პროგრამა და პროგრამაზე დაშვებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია გამოქვეყნდება პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ). მკაფიო აკადემიური, ენობრივი და პროგრამისთვის საჭირო მომზადების კრიტერიუმების გამოყენება ხელს უწყობს მიღების პროცესის სამართლიანობას.

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის საერთო მიდგომა ლოგიკური და თანმიმდევრულია; პროგრამა არ ითვალისწინებს სტუდენტების დიდი ნაკადის მიღებას. თუმცა, ინტერვიუებისა და საბიუჯეტო დოკუმენტაციის მიხედვით, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის შესახებ მსჯელობა მერყეობდა 10-დან 25-მდე. პროგრამების ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ იგეგმება არაუმეტეს 1 ჯგუფის მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება პროგრამაში იმგვარად არის შემუშავებულია, რომ ხელი შეუწყოს მეორე საფეხურის კვალიფიკაციის დონესა და დარგის ინტერდისციპლინურ ხასიათის შესაბამისი მოწინავე პრაქტიკული, კვლევაზე ორიენტირებული და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა მისი აქცენტი პრაქტიკულ, პროექტებზე დაფუძნებულ და კვლევაზე ორიენტირებულ სწავლებაზე. პროგრამის სასწავლო გეგმა პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებას პროგრამის ყველა ეტაპზე უწყობს ხელს და პრაქტიკულ კომპონენტებს მხოლოდ ცალკეულ სტაჟირებას თუ დასკვნით პროექტებს არ უკავშირებს. ლაბორატორიული სამუშაოების, ინდუსტრიაზე ორიენტირებული დავალებების, საკვალიფიკაციო ეტაპის პროექტების, კვლევითი აქტივობებისა და თანამშრომლობითი სავარჯიშოების ჩართვა აჩვენებს კომპეტენციების განვითარების ყოვლისმომცველ სტრატეგიას, რომელიც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი შესაბამისად არის ორგანიზებული და შეესაბამება განათლების დონეს. ისეთი კურსები, როგორიცაა „ხელოვნური ინტელექტის პროგრამირება და მონაცემთა ანალიტიკა ბიზნესში“, „ინტელექტუალური სისტემების პროგრამული ინჟინერია“, „მანქანური სწავლება ბიზნესში“ და „საწარმოს მონაცემთა ანალიზი“, სტუდენტებს სტრუქტურირებულ შესაძლებლობებს აძლევს, გამოიყენონ მოწინავე თეორიული ცოდნა რეალისტურ ბიზნეს გარემოში და ხელოვნური ინტელექტის სფეროებში. დასკვნითი კურსი „ბიზნესის ტრანსფორმაცია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით“ განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ის მოითხოვს სტუდენტებისგან პრაქტიკული ღირებულების მქონე პროექტის განხორციელებას რეალურ ან სიმულირებულ ორგანიზაციულ გარემოში. ეს ასახავს პროგრამის გამოყენებით და ინტერდისციპლინურ ორიენტაციას და ხელს უწყობს ხელოვნური ინტელექტით მართულ ბიზნეს გარემოში კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამაში ასევე წარმოდგენილია კვლევითი მიმართულება, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებს. სემესტრების მიხედვით კვლევითი უნარების განვითარების თანმიმდევრული და ეტაპობრივი მიდგომა ადასტურებს პროგრამის საფუძვლიან პედაგოგიკურ დაგეგმვას და შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამებისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და მოლოდინებს. კვლევითი უნარების განვითარების გზა იწყება ლიტერატურის მიმოხილვისა და კვლევის მეთოდოლოგიის საფუძვლების შესწავლით, გრძელდება კვლევითი პროექტის დაგეგმვითა და შესაბამისი მეთოდების შერჩევით და სრულდება საბოლოო სემესტრში დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კომპეტენციების განვითარების თანმიმდევრულ და ლოგიკურ პროგრესიას.

ისეთი კურსების ჩართვა, როგორიცაა „MCSC 601 კვლევითი წინადადება“ და „MCSC 604 კვლევითი პროექტი“, ცხადყოფს, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული მოწინავე დონის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ისეთი აქტივობები, როგორიცაა კვლევითი წინადადებების შემუშავება, კვლევის განხორციელება, მონაცემთა ანალიზი, აკადემიური წერა და დასკვნების გავრცელება ხელს უწყობს კვლევაზე ორიენტირებული სწავლის

შედეგების მიღწევას და ამზადებს სტუდენტებს როგორც პროფესიული, ასევე აკადემიური წინსვლისთვის, მათ შორის დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. პროგრამა ასევე აჩვენებს შესაბამისობას პრაქტიკულ/კვლევით აქტივობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები ნათლად უზრუნველყოფს იმ სწავლის შედეგების მიღწევას, რომლებიც უკავშირდება:

* ხელოვნური ინტელექტის სისტემების შემუშავებასა და დანერგვას,
* ანალიტიკურ გადაწყვეტილების მიღებას,
* ინოვაციურ აზროვნებას,
* ეფექტურ კომუნიკაციას,
* ლიდერობას,
* ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ გამოყენებას,
* დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებას,

ტრანსფერული უნარების კურიკულუმში ინტეგრირება პროგრამის კიდევ ერთი ძლიერი მხარეა. კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ლიდერობა, ეთიკური მსჯელობა, პროექტის მენეჯმენტი და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ინტეგრირებულია ბევრ კურსსა და აქტივობაში და არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი, ზოგადი ხასიათის კომპეტენციები. როგორც ტექნიკურ, ასევე არატექნიკურ აუდიტორიასთან კომუნიკაციაზე აქცენტი განსაკუთრებით მიზანშეწონილია ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის შესწავლაზე ორიენტირებული პროგრამისთვის, სადაც კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ სფეროებს შორის ეფექტური ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების, ჯგუფური დავალებების, ურთიერთშეფასების და ფუნქციონალურ-ჯვარედინი სიმულაციების გამოყენება ეფექტურად უწყობს ხელს თანამშრომლობითი და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. ანალოგიურად, Agile მეთოდოლოგიების, პროექტის დაგეგმვისა და დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობის ჩართვა ასახავს თანამედროვე ინდუსტრიულ პრაქტიკებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის მკაფიო შესაბამისობას.

პროგრამა სარგებლობს გარე პარტნიორებთან ფართო თანამშრომლობით, რაც დასტურდება ისეთ ორგანიზაციებთან ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმებით, როგორიცაა Deloitte & Touche, Andersen Georgia, Georgian Industrial Group და Cybersecurity Scientific Association. ეს პარტნიორობები აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ ორიენტაციას და სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ რეალურ სამყაროში არსებულ ბიზნესსა და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ პროექტებში. პარტნიორი ორგანიზაციების მრავალფეროვნება, მათ შორის მრავალპროფილური საწარმოები ზრდის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი პრაქტიკული გამოცდილების რელევანტურობასა და მრავალფეროვნებას.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღწერა ასახავს პრაქტიკულ ჩართულობასა და ინდუსტრიასთან თანამშრომლობის მაღალ დონეს, საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკის ხელმძღვანელობასა და ფორმალიზებულ პრაქტიკულ შეთანხმებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები საჭიროებს დამატებით გაძლიერებას. უნივერსიტეტი აღწერს კვლევით პროექტებს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასა და ინდუსტრიასთან თანამშრომლობის ფორმებს, აღნიშნულ კრიტერიუმთან შესაბამისობის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად მიზანშეწონილი იქნებოდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

* ხელმძღვანელობის პროცედურები,
* პრაქტიკისა და კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია,
* მენტორობის ორგანიზება,
* შეფასების პროცესში მონაწილე პირების როლები და პასუხისმგებლობების განსაზღვრა

გააძლიერებდა ამ კრიტერიუმთან შესაბამისობას.

ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტაციაში მითითებულია დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, შესაბამისობის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად სასურველი იქნებოდა უფრო ნათელი და

კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენა შემდეგი გარემოებების დასადასტურებლად:

* პრაქტიკაში/პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობას,
* პრაქტიკის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს,

სტაჟირებისა და პროექტების ხანგრძლივობასა და სტრუქტურას,

* ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ როლებსა და პასუხისმგებლობებს,
* და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას.

საერთო ჯამში, პროგრამა შესაბამისობაშია 2.2. კომპონენტში. სასწავლო გეგმა ხელს უწყობს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც ხორციელდება პროექტზე დაფუძნებული სწავლების, ლაბორატორიული აქტივობების, ინდუსტრიასთან თანამშრომლობისა და კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრული განვითარების საშუალებით. პროგრამა სათანადოდ ასახავს ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციისთვის დადგენილ მოთხოვნებს და ადასტურებს პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების მყარ შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან. **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსების სილაბუსები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაციები](#).

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, საჭიროების შემთხვევაში უფრო მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ხელმძღვანელთა კვალიფიკაციას, მენტორობის სქემებს, შეფასების პროცედურებსა და შეფასებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს.

- სასურველია, დამსაქმებლებთან გაფორმებულ შეთანხმებებთან დაკავშირებული დოკუმენტური მტკიცებულებების საჭიროების შემთხვევაში უფრო ნათლად წარმოდგენა, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკის მიზნები და შედეგები, პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტრუქტურა, ზედამხედველობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები, აგრეთვე, პრაქტიკის შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2,2.პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე გამოყენებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მიდგომები, რომლებიც შეესაბამება განათლების საფეხურს, სფეროს ინტერდისციპლინურ ბუნებასა და პროგრამის სწავლის შედეგებს. შერჩეული მეთოდები ეფექტურად უწყობს ხელს მაგისტრატურის კურსდამთავრებულების შესაფერისი

მაღალი დონის ტექნიკური, ანალიტიკური, კვლევითი, საკომუნიკაციო და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ლექციების, სემინარების, ლაბორატორიული სამუშაოების, ვორქშოფების, შემთხვევის შესწავლის, პროექტზე დაფუძნებული სწავლისა და ინდუსტრიასთან თანამშრომლობის კომბინაცია, ხაზს უსვამს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით და ინტერდისციპლინურ ბუნებას ბიზნესში. საბაზისო თეორიული ცოდნის შეძენას ხელს უწყობს ლექციები და ინტერაქციული შეხვედრები, ხოლო მაღალი დონის კოგნიტური უნარები ვითარდება პრობლემის გადაჭრის, შემთხვევის ანალიზის, კვლევითი აქტივობებისა და პრაქტიკული პროექტების საშუალებით. აღნიშნული აჩვენებს სწავლების მეთოდების, კურიკულუმის შინაარსისა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ერთმანეთთან შესაბამისობას.

პროგრამაში ასევე იკვეთება შესაბამისობა სტუდენტთა აქტიური ჩართულობის თვალსაზრისით. შებრუნებული საკლასო ოთახის, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის, ჯგუფური პროექტების, სიმულაციებისა და ინდუსტრიაზე ორიენტირებული პროექტების გამოყენება სტუდენტებს უბიძგებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში და არ დაეყრდნონ მხოლოდ ცოდნის პასიურ მიღებას. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის ინტერაქციას, ასევე კოლეგიალურ თანამშრომლობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ მულტიდისციპლინურ სფეროებში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და ბიზნესის ტრანსფორმაცია.

რეალური ბიზნეს-შემთხვევების, ეთიკურ დილემებზე დისკუსიების, პრობლემის გადაჭრის ღია ტიპის დავალებებისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლის ჩართვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობის, შემოქმედებითობის და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარების განვითარებას. პროგრამა სათანადო აქცენტს აკეთებს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასა და პრობლემის გადაჭრის მრავალვარიანტიან (multiple-solution) მიდგომებზე, რაც განსაკუთრებით რელევანტურია ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ბიზნეს-

გამოწვევებისთვის, რომელთა ფარგლებში პრობლემები ხშირად კომპლექსურია და არ არსებობს მათი გადაჭრის ერთი წინასწარ განსაზღვრული გზა.

პროგრამაში ასევე ინტეგრირებულია ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლება. სასწავლო მართვის სისტემების, თანამშრომლობის პლატფორმების, ღრუბლოვან ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროგრამირების გარემოების, მონაცემთა ვიზუალიზაციის ინსტრუმენტების, სიმულაციებისა და ხელოვნური ინტელექტის მოდელების სატესტო გარემოების გამოყენება ხელს უწყობს როგორც სასწავლო პროცესის მოქნილობას, ისე პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული მეთოდები განსაკუთრებით შესაფერისია თანამედროვე, ხელოვნურ ინტელექტზე ორიენტირებული პროგრამისთვის და ხელს უწყობს ციფრული წიგნიერების, ექსპერიმენტირების და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის განვითარებას.

პროგრამა ასევე მოქნილია სტუდენტების განსხვავებული აკადემიური გამოცდილებისა და სასწავლო საჭიროებების გათვალისწინების ნაწილშიც. კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ნაკლები კომპეტენციის მქონე სტუდენტებისთვის არჩევითი საბაზისო მოდულების, უფრო გამოცდილი სტუდენტებისთვის მაღალი დონის მიმართულებების და სწავლის თვითრეგულირებადი კომპონენტების არსებობა, ასახავს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას და ხელს უწყობს ინკლუზიურობას. დიფერენცირების სტრატეგიები მიუთითებს იმ მრავალფეროვანი საწყისი პროფილების გაცნობიერებაზე, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს ინტერდისციპლინურ სამაგისტრო პროგრამაში.

სწავლების მრავალფეროვანი მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა სასწავლო სტილს, როგორიცაა ვიზუალური, აუდიო და კინესთეტიკური, ასევე ხელს უწყობს ეფექტურ სწავლასა და სტუდენტთა ჩართულობას. პრაქტიკული ლაბორატორიული სავარჯიშოები, ვიზუალური მასალები, დისკუსიები, ჩაწერილი მასალა და თანამშრომლობითი აქტივობები ერთობლივად ქმნის უფრო ადაპტირებულ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს.

პროგრამის დამატებით სარგებელს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია, რაც გამოიხატება მოწვეული ლექტორების ჩართულობით, მათ შორის დარგის პრაქტიკოსებისა და არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტის W. P. Carey-ის

ბიზნესსკოლის აკადემიური პერსონალის მონაწილეობით. ეს აძლიერებს პროგრამის საერთაშორისო ორიენტაციას და სტუდენტებს მრავალფეროვან აკადემიურ და პროფესიულ პერსპექტივებს აცნობს.

წარმოდგენილი ინფორმაცია აჩვენებს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსები ითვალისწინებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, აქტიური სწავლების ელემენტებსა და ტექნოლოგიების ინტეგრირებას, რაც სასწავლო გეგმის სისტემურ დაგეგმვასა და კურსებს შორის თანმიმდევრულ მიდგომაზე მიუთითებს. აღნიშნული ადასტურებს, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები გააზრებულად და მიზანმიმართულად არის შერჩეული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა სათანადოდ ასახავს აქტიური სწავლების, მოქნილობისა და ტექნოლოგიების ინტეგრირების მიდგომებს, საერთაშორისო სტუდენტებისა და დისტანციური/ელექტრონული სწავლების მხარდაჭერის მექანიზმებთან დაკავშირებული მტკიცებულებების უფრო სრულყოფილად წარმოდგენა მიზანშეწონილია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში სახეზეა საერთაშორისო ჩართულობა და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, აღნიშნულ კრიტერიუმთან შესაბამისობას გააძლიერებდა უფრო მკაფიო მტკიცებულებების წარმოდგენა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა:

- საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები,
- კულტურული ინკლუზიურობის სტრატეგიები,
- ენობრივი მხარდაჭერა
- ან სწავლებისა და შეფასების მეთოდების ადაპტირება მრავალფეროვანი სტუდენტური კონტინგენტის საჭიროებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსის სილაბუსი;
- Canvas სასწავლო პროცესის მართვის სისტემა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ინტერვიუების შედეგები.

[რეკომენდაცები](#).

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება, რომელშიც მოცული იქნება კულტურული ინკლუზიურობის ხელშემწყობი ღონისძიებები, ენობრივი მხარდაჭერის სერვისები, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების ადაპტირების შესაძლებლობები სტუდენტთა მრავალფეროვანი გამოცდილებისა და სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2,3.სწავლება-სწავლის მეთოდები;	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც არეგულირებს სტუდენტთა შეფასებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, გასაჩივრების პროცედურებსა და შეფასების პროცესების ხარისხის უზრუნველყოფას. მტკიცებულებები მიუთითებს, რომ შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია ინსტიტუციურ რეგულაციებსა და ეროვნულ კანონმდებლობასთან და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას.

შეფასების სისტემა ეფუძნება შეფასების მრავალფეროვან ფორმებს, მათ შორის გამოცდებს, პროექტებს, პრეზენტაციებსა და მონაწილეობის კომპონენტებს, რითაც ხელს უწყობს სტუდენტთა მიღწევების შეფასების დივერსიფიცირებული მიდგომების გამოყენებას. შეფასების სისტემა, მათ შორის დადებითი და უარყოფითი შეფასებები და FX მექანიზმი, ნათლად არის განსაზღვრული და წინასწარ ეცნობება სტუდენტებს. დოკუმენტაცია და გასაუბრებების შედეგები ასევე ადასტურებს, რომ პროგრამა იყენებს სტანდარტიზებულ A-F შეფასების სისტემას საქართველოს კანონმდებლობისა და ინსტიტუციური რეგულაციების შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ასახავს პროგრამის მისწრაფებას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს უწყვეტ და სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებს. ჩარჩო მოიცავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებს, მათ შორის ყოველკვირეულ დავალებებს, ქვიზებს, კოლეგიალურ უკუკავშირს, ნაშრომების სამუშაო ვერსიების წარდგენას, პროექტებს, პრეზენტაციებსა და პორტფოლიოებს. მსგავსი დივერსიფიცირებული სტრუქტურა სამაგისტრო საფეხურის პროგრამის შესაბამისია და ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესისა და სწავლის შედეგების მიღწევის უწყვეტ მონიტორინგს.

წარმოდგენილი მასალები დამატებით მიუთითებს, რომ შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები შესაბამისობაშია სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან და დეტალურად არის აღწერილი პროგრამის დანართებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში. სილაბუსებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, დავალებების ტიპები და შეფასების რუბრიკები. ამავდროულად, ვინაიდან პროგრამა ახლადშექმნილია, ჯერჯერობით არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ამ პროგრამაზე სწავლის შედეგებზე დაფუძნებული შეფასების რეალურად განხორციელებასა და შეფასების პრაქტიკების თანმიმდევრულობას. შესაბამისად, შეფასება ძირითადად ეხება ინსტიტუციურ მზაობასა და მედიცინის

პროგრამის სტუდენტების გამოცდილებას, რომლებიც გასაუბრების სესიებში მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, შეფასების სისტემის კონცეპტუალური დიზაინი პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო და საკმარისად განვითარებულია.

„სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმებისა და შეფასების წესი“ მნიშვნელოვნად ამყარებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურების არსებობისა და განხორციელების დამადასტურებელ მტკიცებულებებს. ეს წესი განსაზღვრავს თემის შერჩევის, ხელმძღვანელობის, რეცენზენტის ჩართულობის, საჯარო დაცვის პროცედურების, შეფასების მეთოდოლოგიის, გასაჩივრებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნების შესახებ დეტალურ ინსტიტუციურ რეგულაციებს. წესი ნათლად ადგენს, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯარო დაცვის კომისიის წინაშე, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი სკოლის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისა და მდივნისაგან, ხოლო კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ როგორც აკადემიური პერსონალი, ისე შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტები. კომისია მოქმედებს ფორმალური კვორუმისა და ხმის მიცემის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო წესში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ კომისიის წევრები დამოუკიდებლები არიან თავიანთ საქმიანობაში. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესი დამატებით მოიცავს დამოუკიდებელი რეცენზენტის ჩართულობას, რომელსაც უნდა ჰქონდეს სადოქტორო ხარისხი ან შესაბამისი დარგობრივი აკადემიური გამოცდილება. რეცენზენტს ამტკიცებს სკოლის საბჭო და მას არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი სტუდენტთან. რეცენზენტი ამზადებს ფორმალურ წერილობით შეფასებას სამაგისტრო ნაშრომის როგორც შინაარსობრივ, ისე ტექნიკურ ასპექტებთან დაკავშირებით და განსაზღვრავს, შეუძლია თუ არა სტუდენტს საჯარო დაცვაზე გასვლა. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტი უარყოფით დასკვნას გასცემს, სამაგისტრო ნაშრომი მეორე რეცენზენტს გადაეცემა ხელახალი შეფასებისთვის. აღნიშნული მექანიზმი აძლიერებს პროცედურულ სამართლიანობას და ამცირებს სუბიექტური შეფასების რისკებს.

თავად დაცვის პროცედურა ნათლად არის დარეგულირებული და მოიცავს კვლევის მიგნებების ზეპირ წარდგენას კომისიის წინაშე. წესი განსაზღვრავს პრეზენტაციის ხანგრძლივობას, კითხვა-პასუხის პროცედურებსა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს. საბოლოო შეფასება ეფუძნება როგორც წერილობით სამაგისტრო ნაშრომს, ისე საჯარო დაცვას, რომლებიც, შესაბამისად 70 და 30 ქულით არის შეწონილი.

დოკუმენტაცია ასევე ადასტურებს, რომ აკადემიური წერის მოთხოვნები და გაფორმების სტანდარტები სტუდენტებს წინასწარ ღიად ეცნობებათ. წესი განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, ციტირების სტილს, გაფორმების მოთხოვნებს, ენობრივ არჩევანს, სიტყვების რაოდენობის ზღვარსა და პრეზენტაციის ტექნიკურ სტანდარტებს. კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის მთელ ტექსტში სავალდებულოა APA-ს ციტირების სტილის გამოყენება. წესი დამატებით ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, ხელმძღვანელის დასკვნის, რეცენზენტის შეფასებისა და თემის რეგისტრაციის ფორმების სტანდარტიზებულ შაბლონებს. აღნიშნული მექანიზმები მნიშვნელოვნად ზრდის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და შეფასების პროცესების გამჭვირვალობასა და სტანდარტიზაციას.

აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის მექანიზმებიც ვრცლად არის დარეგულირებული. ხელმძღვანელი ვალდებულია, სამაგისტრო ნაშრომი ატვირთოს ანტიპლაგიატის სისტემაში და რეცენზირებამდე გადაამოწმოს ტექსტის ორიგინალურობა. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსების მაჩვენებელი დადგენილ 12%-იან ზღვარს აღემატება, ხელმძღვანელს შეუძლია სტუდენტს ნაშრომი ერთხელ დაუბრუნოს შესწორებისა და გაუმჯობესების მიზნით. თუ პლაგიატი დადასტურდება საბოლოო ვერსიაში, სამაგისტრო ნაშრომი არ შეფასდება და სტუდენტი კარგავს იმავე ნაშრომის ხელახლა წარდგენის უფლებას. წესი ასევე პირდაპირ მიუთითებს უნივერსიტეტის ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკასთან შესაბამისობაზე და ადგენს, რომ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს სამაგისტრო ნაშრომის არშეფასება.

გასაჩივრების პროცესიც დარეგულირებულია; სტუდენტებს შეუძლიათ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენა დადგენილ ვადებში, ხოლო სააპელაციო კომისიები უნდა შედგებოდეს იმ წევრებისგან, რომლებიც შეფასების თავდაპირველ პროცესში არ მონაწილეობდნენ. სააპელაციო კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამაგისტრო ნაშრომის ხელახალი შეფასების მიზნით დაბრუნების, თავდაპირველი შეფასების ძალაში დატოვების ან საჩივრის უსაფუძვლობის შემთხვევაში მისი უარყოფის შესახებ. სააპელაციო გადაწყვეტილებების წერილობითი დასაბუთების მოთხოვნა დამატებით აძლიერებს პროცედურულ გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

დოკუმენტაციაში არაერთხელ არის ხაზგასმული, რომ შეფასების რუბრიკები, შეფასების კრიტერიუმები და დავალებების მოთხოვნები სტუდენტებს წინასწარ ეცნობებათ. დეტალური რუბრიკებისა და შეფასების სტრუქტურირებული კრიტერიუმების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტების, პრეზენტაციებისა და

წერილობითი დავალებების შეფასებისას თანმიმდევრულობის და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემა ასევე მოიცავს მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობს განმავითარებელ უკუკავშირს და უწყვეტ გაუმჯობესებას. ნაშრომების სამუშაო ვერსიების წარდგენის, კოლეგიალური შეფასების პროცესებისა და უწყვეტი დავალებების გამოყენება მიუთითებს, რომ სტუდენტები უკუკავშირს იღებენ სასწავლო პროცესის განმავლობაში და არა მხოლოდ შეფასების საბოლოო ეტაპზე.

უნივერსიტეტს დამატებით შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს შეფასების პროცედურების ვალიდურობის, სანდოობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფას. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შეფასების ვალიდურობას ხელს უწყობს შეფასების დავალებებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის განხილვა, საგამოცდო მასალების გადახედვა და შეფასების ახალი ინსტრუმენტების პილოტირება. სანდოობას ხელს უწყობს შეფასების რუბრიკების შემუშავება, რამდენიმე შემფასებლის ჩართულობა და სტანდარტიზაციის ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შეფასების პრაქტიკის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას.

ჩარჩო ასევე მოიცავს მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია შეფასების პროცედურების სამართლიანობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფისაკენ. დოკუმენტაციაში აღნიშნულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების საჭიროებებზე მორგების, განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში ალტერნატიული შეფასებებისა და გასაჩივრების ფორმალური პროცედურების შესახებ. სტუდენტთა უფლებები გასაჩივრებასთან დაკავშირებით რეგულირდება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებითა და სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობებით. დაწესებულება დამატებით მიუთითებს, რომ სტუდენტებს გარანტირებულად აქვთ აკადემიური გადაწყვეტილებებისა და ადმინისტრაციული საკითხების დადგენილი მექანიზმებით გასაჩივრების უფლება.

უნივერსიტეტი ასევე მზადაა განახორციელოს ციფრული და დისტანციური სწავლების შეფასება. თვითშეფასებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, დაწესებულებაში დანერგილია Canvas სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, რომელიც უსაფრთხო ინფრასტრუქტურაშია განთავსებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები.

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, ფორმატირებისა და შეფასების წესი;
- საგამოცდო პროცესის ორგანიზების წესი;
- პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების პროცედურა;
- Canvas სასწავლო პროცესის მართვის სისტემა
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- ვებგვერდი - https://eastwest.edu.ge/

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2,4.სტუდენტებ ს შეფასება:	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს სტუდენტთა მხარდაჭერის ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას და მოიცავს აკადემიური, ადმინისტრაციული, სოციალური და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია და კონკრეტულად მასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ჯერ ნაკლებია, ინსტიტუციური მექანიზმები პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე მხარდასაჭერად საკმარისად განვითარებულია.

სტუდენტთა მხარდაჭერის მოდელი მოქმედებს რამდენიმე სტრუქტურის კოორდინირებული ჩართულობით, რომელთა შორისაცაა: სტუდენტთა მიღების სამსახური, მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური, სკოლის კოორდინატორები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები. დოკუმენტაციის თანახმად, აკადემიური მხარდაჭერა იწყება ჩარიცხვის ეტაპიდან და მოიცავს საორიენტაციო აქტივობებს, სემესტრის დაგეგმვაში დახმარებას, აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, კონსულტაციებსა და მიზნობრივ ჩარევებს იმ შემთხვევებში, როდესაც აკადემიური სირთულეები ვლინდება. განსაკუთრებით დადებით ელემენტს წარმოადგენს სტუდენტ კოორდინატორთა როლი, რომელიც უკვე დანერგილია მედიცინის სკოლაში და, როგორც ჩანს, შესაძლებელია მისი გადატანა ახალი პროგრამის კონტექსტშიც. მტკიცებულებები ადასტურებს აკადემიური პროგრესის უწყვეტ მონიტორინგს ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების და ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც დამატებითი მხარდაჭერაა საჭირო, აკადემიურ პერსონალთან გადამისამართების მექანიზმების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სპეციფიკური განხორციელების მტკიცებულებები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი პროგრამის ახლად შექმნის გამო, აღნიშნული ინსტიტუციური პრაქტიკები ქმნის გონივრულ საფუძველს მისი სამომავლო ფუნქციონირებისთვის.

სტუდენტთა საორიენტაციო მექანიზმებიც კარგად არის სტრუქტურირებული. ახალი სტუდენტები ინსტიტუციურ საორიენტაციო მხარდაჭერას იღებენ სწავლის დაწყებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების, უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტაზე წვდომის, სტუდენტური პორტალის გააქტიურებისა და აკადემიური კალენდრებისა და პროცედურების გაცნობის საშუალებით. აღნიშნული მექანიზმები მნიშვნელოვანია სტუდენტთა გარდამავალი ეტაპის გასამარტივებლად და ადრეულ ეტაპზე ადაპტაციის ხელშესაწყობად, განსაკუთრებით ახლად ჩარიცხული კონტინგენტისთვის.

აკადემიური მიღწევების მხარდაჭერის თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა დანერგა წამახალისებელი მექანიზმები, მათს შორის სწავლის საფასურისგან გათავისუფლება აკადემიური მოსწრების შესაბამისად და გადახდის ინდივიდუალური პირობები. საერთაშორისო სტუდენტებისთვის დამატებითი მხარდაჭერის ინსტრუმენტები არსებობს სტიპენდიის მიღების შესაძლებლობების სახით.

კარიერული განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის აქტივობები გაფართოების პროცესშია. მტკიცებულებები ადასტურებს სემინარების, პროფესიული განვითარების ინიციატივებისა და კარიერული ღონისძიებების განხორციელებას, როგორებიცაა Future Pathways in Medicine, Medical Alumni Career Club და დარგთან დაკავშირებული სხვა აქტივობები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაგალითები ძირითადად მედიცინის პროგრამიდან მომდინარეობს, მედიცინის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებმა დაადასტურა, რომ ასეთი აქტივობები სტუდენტებისთვის ხილვადია და ხელს უწყობს პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ ცნობიერებას. თუმცა, კონკრეტულად მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებული ინიციატივები ჯერ არ არის წარმოდგენილი, რაც პროგრამის განხორციელების ადრეული ეტაპით არის განპირობებული.

ინფორმაციის გავრცელება, როგორც ჩანს, ინტეგრირებულია სტუდენტთა საორიენტაციო პროცესში და მხარდაჭერილია ციფრული ინფრასტრუქტურით, მათ შორის სტუდენტური პორტალებით, ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის სისტემებითა და საორიენტაციო პროცესებით. დოკუმენტირებული საორიენტაციო მოდელი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები სწავლის დაწყებიდანვე გაეცნონ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცესებს. მტკიცებულებები დამატებით მიუთითებს აქტიურ კომუნიკაციაზე სტუდენტი კოორდინატორებისა და უწყვეტი შეხვედრების საშუალებით სემესტრის განმავლობაში. ინსტიტუციური უკუკავშირის მექანიზმები აჩვენებს, რომ სტუდენტები, ზოგადად, დადებითად აფასებენ აკადემიურ მხარდაჭერასა და მენტორობის სერვისებს, რაც სტუდენტებთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა. კონკრეტულად ახალი პროგრამის შემთხვევაში, კომუნიკაციის პრაქტიკებთან დაკავშირებული მტკიცებულებები ჯერ კიდევ სამომავლო ხასიათისაა და ამჟამად არაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, არსებული ინსტიტუციური მექანიზმები, ახალ პროგრამაში გამოსაყენებლად შესაბამისია და ადეკვატურ საფუძველს ქმნის.
სტუდენტური თვითმმართველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტთა ინტეგრაციის ხელშეწყობაში წარმომადგენლობითი სტრუქტურების, სტუდენტური კლუბების, კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობების, ასევე მართვის პროცესებში სტუდენტთა მონაწილეობის საშუალებით. ინსტიტუციური საორიენტაციო მექანიზმები დამატებით უწყობს ხელს ინტეგრაციას, საუნივერსიტეტო

ცხოვრებასთან ადაპტაციის ეტაპზე სტრუქტურირებული საორიენტაციო პროცედურების შეთავაზების საშუალებით. მედიცინის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრები მიუთითებს, ზოგადად, პოზიტიურ სტუდენტურ გარემოსა და სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის კულტურაზე, რაც ადასტურებს, რომ ინსტიტუციური ინტეგრაციის მექანიზმები პრაქტიკაში ფუნქციონირებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის წესდება
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- დანართი 7-სამუშაო აღწერილობები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- ვებგვერდი - https://eastwest.edu.ge/

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წინამდებარე შეფასება განხორციელდა ახალ პროგრამაზე, რომელსაც ჯერ არ ჰყავს მიღებული სტუდენტური კონტინგენტი, არ არის დაცული სამაგისტრო ნაშრომები და არც პროგრამის განხორციელების შედეგებია ხელმისაწვდომი. შესაბამისად, შეფასება ძირითადად ფოკუსირებულია მარეგულირებელი ჩარჩოს, ინსტიტუციური მექანიზმებისა და უნივერსიტეტის მზაობის ადეკვატურობაზე იმისათვის, რათა მაგისტრანტებს დაეხმაროს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში. დამატებითი კონტექსტუალური წარმოდგენა შეიქმნა მედიცინის პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრის საშუალებით, რომელმაც აჩვენა სტუდენტთა მხარდაჭერისა და აკადემიური ხელმძღვანელობის ინსტიტუციური კულტურა. თუმცა, წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა მხოლოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასში ასახულ ინსტიტუციურ შესაძლებლობებს.

დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო კვლევის ხელმძღვანელობის სტრუქტურირებული ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების მხარდაჭერას კვლევის კონცეპტუალიზაციის ადრეული ეტაპებიდან კვლევის დასრულებისა და შედეგების დისემინაციის ჩათვლით. ხელმძღვანელობის მოდელი წარმოდგენილია როგორც ინტეგრირებული სისტემა, რომლის მიზანია კვლევის პროცესის განმავლობაში აკადემიური ხარისხის, ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა.

ხელმძღვანელობის მარეგულირებელ მექანიზმებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს მკაფიო მოლოდინები აქვს განსაზღვრული ხელმძღვანელთა კვალიფიკაციებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ სადოქტორო ხარისხის ფლობა სტუდენტის კვლევის სფეროსთან დაკავშირებულ დარგებში და აქტიური სამეცნიერო ჩართულობის დემონსტრირება პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობისა და კვლევითი საქმიანობის საშუალებით. გარდა ამისა, ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ სწავლების, კონსულტირებისა და სამაგისტრო საფეხურზე ხელმძღვანელობის გამოცდილება. ხელმძღვანელობის ჩარჩო დამატებით განსაზღვრავს აკადემიურ ხელმძღვანელობასთან, მეთოდოლოგიურ მხარდაჭერასთან, პროგრესის მონიტორინგთან, უკუკავშირის მიწოდებასა და კვლევითი საქმიანობის ეთიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს. დაწესებულებას ასევე დანერგილი აქვს ხელმძღვანელის შერჩევის სტრუქტურირებული პროცესი, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელები ინიშნებიან

კვლევითი სპეციალიზაციის, მეთოდოლოგიური ექსპერტიზისა და, საჭიროების შემთხვევაში პროფესიული კავშირების გათვალისწინებით.

ამავდროულად, დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ხელმძღვანელობის მარეგულირებელი ჩარჩო ვრცელდება როგორც ხელმძღვანელებზე, ისე თანახელმძღვანელებზე. ხელმძღვანელთა შერჩევისა და დანიშვნისას გამოყენებული პრინციპები ვრცელდება თანახელმძღვანელებზეც. გარდა ამისა, ხელმძღვანელის დანიშვნას, პასუხისმგებლობების განაწილებას, ხელმძღვანელობის პროცესსა და სხვა რელევანტურ საკითხებს არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი. შესაბამისად, დაწესებულებას, ჩანს ჩამოყალიბებული აქვს საერთო მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს როგორც ხელმძღვანელობის, ისე თანახელმძღვანელობის პროცესებს. პროგრამის განხორციელების ადრეული ეტაპის გათვალისწინებით, შეფასება ძირითადად ფოკუსირებულია ინსტიტუციურ მზაობაზე ვიდრე არსებულ პრაქტიკაზე.

უნივერსიტეტი განსაკუთრებით კარგად მომზადებულია კვლევის პროცესის განმავლობაში კონსულტირებისა და მხარდაჭერის მექანიზმებთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობის მოდელი სტრუქტურირებულია თანმიმდევრულ ეტაპებად, რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს. საწყის ეტაპზე ხელმძღვანელები სტუდენტებს ეხმარებიან თემის იდენტიფიცირებაში, კვლევის კითხვების ჩამოყალიბებაში, ლიტერატურის მიმოხილვასა და მეთოდოლოგიური დიზაინის შემუშავებაში. შემდგომი ეტაპი ფოკუსირებულია კვლევითი პროექტის განხორციელებაზე და მოიცავს მონაცემთა შეგროვების, მეთოდოლოგიური სირთულეების გადაჭრის, ანალიტიკური პროცედურებისა და რეგულარული მონიტორინგის შეხვედრების მიმართულებით მხარდაჭერას. საბოლოო ეტაპზე ხელმძღვანელები სტუდენტებს ეხმარებიან სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურირებაში, აკადემიური წერის დახვეწაში, დაცვისთვის მომზადებასა და პროფესიული განვითარების აქტივობებში.

ჩარჩო დოკუმენტი დამატებით ადასტურებს ინსტიტუციის მისწრაფებას, ხელი შეუწყოს კვლევის შედეგების გავრცელებასა და მათ ინტეგრირებას სტუდენტების სამომავლო პროფესიულ საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია და ჯერ არ არსებობს მტკიცებულებები გამოქვეყნების მხარდაჭერის, სამეცნიერო ქსელებში მონაწილეობის, საგრანტო კონკურსებში ჩართულობის ან საკონფერენციო აქტივობებთან დაკავშირებით, ინსტიტუციური მოდელი მიუთითებს მსგავსი აქტივობების განვითარებისადმი მზაობაზე, მას შემდეგ, რაც სტუდენტები კვლევით ეტაპზე გადავლენ.

პერსონალის შემადგენლობაც ხელს უწყობს სამეცნიერო კომპონენტის ეფექტური განხორციელებისათვის უნივერსიტეტის მზაობას. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროგრამაში ჩართულია თორმეტი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, მათ შორის აფილირებული პერსონალი, ასევე მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის უმეტესობა ფლობს დოქტორის ხარისხს და ისინი წარმოდგენილნი არიან, როგორც აქტიური მკვლევარები შესაბამისი სასწავლო გამოცდილებით. პერსონალის აღნიშნული სტრუქტურა ადეკვატურია განხორციელების საწყის პერიოდში სტუდენტთა მოსალოდნელი რაოდენობის მხარდაჭერისთვის და ქმნის შესაბამის საფუძველს ხელმძღვანელობის აქტივობების განსახორციელებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელთა დატვირთვის მართვის თვალსაზრისით, დაწესებულების მიდგომა დადებითად უნდა შეფასდეს. დოკუმენტაციაში განსაზღვრულია ხელმძღვანელობის თანაფარდობის სამიზნე ნიშნული, რომლის მიხედვითაც სრულ განაკვეთზე დასაქმებული ხელმძღვანელი, როგორც წესი, ერთდროულად არ უნდა ხელმძღვანელობდეს ხუთზე მეტ მაგისტრანტს. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება მიუთითებს ხელმძღვანელობის დატვირთვის კორექტირებაზე დამატებითი პასუხისმგებლობების, მათ შორის ადმინისტრაციული ვალდებულებებისა და კვლევითი საქმიანობის გათვალისწინებით, ხოლო ხელმძღვანელობის თანაფარდობები პერიოდულად გადაიხედება პროგრამის ხელმძღვანელობის მიერ.

ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებიც საოპერაციო მზაობას აჩვენებს. უნივერსიტეტი გეგმავს ხელმძღვანელობის ხარისხი სტუდენტთა სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმების საშუალებით შეაფასოს, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეაფასონ კონსულტაციების ხარისხი, სიხშირე და ეფექტურობა. გარდა ამისა, დაწესებულება გეგმავს დასრულების მაჩვენებლების, სწავლის ხანგრძლივობის, პუბლიკაციების შედეგებისა და კურსდამთავრებულთა შედეგების, როგორც ხელმძღვანელობის ეფექტურობის შეფასების ხელშემწყობი ინდიკატორების, მონიტორინგს. დოკუმენტაცია დამატებით ადასტურებს, რომ აღნიშნული მექანიზმებიდან მიღებული მიგნებები გამოყენებული იქნება უწყვეტი გაუმჯობესების პროცესებში ინტეგრირების მიზნით, რომელიც მოიცავს პოლიტიკის დახვეწას, მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებასა და ხელმძღვანელთა კომპეტენციების გაძლიერებას.

დაწესებულება მზაობას ავლენს თავად ხელმძღვანელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიმართულებითაც. დაგეგმილი აქტივობები მოიცავს საორიენტაციო მექანიზმებს ახალი ხელმძღვანელებისთვის, ხელმძღვანელობის პრაქტიკასთან

დაკავშირებულ ვორქშოფებსა და აკადემიურ პერსონალს შორის გამოცდილების გაზიარების ხელშემწყობ მექანიზმებს.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია და მისი განხორციელების პრაქტიკული მტკიცებულებები ჯერ არ არსებობს, წარმოდგენილი ინფორმაცია ადეკვატურ საფუძველს ქმნის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მაგისტრანტების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელობის მოდელი, რომელიც მოიცავს ხელმძღვანელთა კვალიფიკაციისადმი მკაფიო მოთხოვნებს, სტრუქტურირებულ და ეტაპობრივად დაგეგმილ ხელმძღვანელობის პროცესს, დატვირთვის მართვის მექანიზმებსა და ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის ღონისძიებებს.

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობა	**8**
მაგისტრანტების რაოდენობა	**25**
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	**0,32**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, ფორმატირებისა და შეფასების წესი;
- პერსონალის დოკუმენტაცია
- ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- 1-2. N28. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა შეფასება
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- ვებგვერდი - https://eastwest.edu.ge/

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3,2.მაგისტრანტთ: ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალე

პროცედურების საფუძველზე, რომლებიც შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, შიდა რეგულაციებისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით, წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, ხოლო მოწვეული პერსონალი შეირჩევა ადამიანური რესურსების მართვის ინსტიტუციური რეგულაციებისა და პროგრამის კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია საგანმანათლებლო პროცესის მდგრადი და ეფექტური განხორციელებისათვის. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს და თანხვედრაშია პროგრამის შინაარსთან, მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს შესაბამის განათლებას, პროფესიულ გამოცდილებას, სასწავლო კომპეტენციებსა და პრაქტიკულ ექსპერტიზას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა კომპიუტერული მეცნიერება, ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება, მონაცემთა ანალიტიკა, კიბერუსაფრთხოება, პროგრამული ინჟინერია და ბიზნესტექნოლოგიები.

ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, ზოგადად, შესაბამისია, სამეცნიერო პროდუქტიულობისა და საერთაშორისო კვლევითი ხილვადობის შემდგომი გაძლიერება დადებითად შეუწყობს ხელს პროგრამის აკადემიური და კვლევითი პროფილის განმტკიცებას. კერძოდ, მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის გაფართოება კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამის კვლევით კომპონენტს.

მოწვეულ პერსონალი ფლობს შესაბამისი კომპეტენციებს, რაც დასტურდება მათი აკადემიური კვალიფიკაციით, დარგობრივი გამოცდილებით, პროფესიული

საქმიანობითა და პედაგოგიური პრაქტიკით. პრაქტიკოსებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა, მათ შორის Cintana Alliance-თან და არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ჩარჩოსთან დაკავშირებული წარმომადგენლების მონაწილეობა, ხელს უწყობს პროგრამის პრაქტიკულ ორიენტაციასა და ინტერნაციონალიზაციას.

პროგრამა მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განაწილების სემესტრულად განსაზღვრული სქემით, რომელიც მოიცავს სწავლებას, კვლევას, ხელმძღვანელობას, კონსულტირებასა და სხვა აკადემიურ პასუხისმგებლობებს ინსტიტუციური რეგულაციებისა და პერსონალის ფუნქციების შესაბამისად. დატვირთვის განაწილება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს, ეფექტურად შეასრულოს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული მოვალეობები. სტუდენტთა მხარდაჭერისა და აკადემიური კონსულტირებისათვის გამოყოფილი საკონსულტაციო საათები ასევე ინტეგრირებულია პერსონალის დატვირთვის დაგეგმვაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ანალიზს, მათ შორის პერსონალის დატვირთვის, მდგრადობისა და გადინების მაჩვენებლების მონიტორინგს. აღნიშნული ანალიზის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და გრძელვადიანი მდგრადობის მხარდასაჭერად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებაში, კურიკულუმის გადახედვაში, სწავლის შედეგების შეფასებასა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესებში. მათი მონაწილეობა ხელს უწყობს პროგრამის რელევანტურობის შენარჩუნებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და

ხელოვნური ინტელექტისა და ბიზნეს-ტექნოლოგიების სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებას.

პროგრამას ხელმძღვანელობს გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი ექსპერტიზა კომპიუტერული მეცნიერების, ხელოვნური ინტელექტისა და უმაღლესი განათლების მართვის მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული პროგრამის განხორციელების, განვითარების, შეფასებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესებში, მათ შორის არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და Cintana Alliance-თან თანამშრომლობის აქტივობებში. მათი აკადემიური და პროფესიული ჩართულობა ხელს უწყობს პროგრამის სტრატეგიულ და აკადემიურ განვითარებას.

ადგილზე-ვიზიტისა და ინტერვიუების პროცესში ასევე აშკარა იყო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. მათი პასუხისმგებლობები და ფუნქციები ნათლად არის განსაზღვრული ინსტიტუციურ რეგულაციებში, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროგრამის ეფექტურ მართვაში, კოორდინაციაში, სტუდენტთა მხარდაჭერასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [4]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**12**	**10**	**4**	**4**

[4]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- პროფესორი	2	2	2	1
- ასოცირებული პროფესორი	2	1	1	
- ასისტენტ–პროფესორი	8	7	1	3
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი				_
სამეცნიერო პერსონალი				_
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი				

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის დოკუმენტაცია
- პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურა და შეფასების კრიტერიუმები
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაცები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელები, რომლებიც ფლობენ სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის ეფექტიანი ხელმძღვანელობისათვის საჭირო შესაბამის აკადემიურ, სამეცნიერო და პროფესიულ კომპეტენციებს. ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია, კვლევითი პროფილები და პრაქტიკული გამოცდილება, ზოგადად, შესაბამისობაშია პროგრამის თემატურ მიმართულებებთან და ხელს უწყობს პროგრამის კვლევაზე ორიენტირებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში ჩართული ხელმძღვანელების უმეტესობა ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს კომპიუტერული მეცნიერების, ხელოვნური ინტელექტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მონაცემთა ანალიტიკის, პროგრამული ინჟინერიის, კიბერუსაფრთხოების, ბიზნესტექნოლოგიების ან სხვა მომიჯნავე ინტერდისციპლინური მიმართულებით. აკადემიური გამოცდილება და ექსპერტული ცოდნა მათ საშუალებას აძლევს, სტუდენტებს გაუწიონ ხელმძღვანელობა კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში, მათ შორის თემის შერჩევის, კვლევითი დიზაინის, მეთოდოლოგიის შემუშავების, განხორციელების, ანალიზისა და კვლევის შედეგების საბოლოო წარდგენის ეტაპებზე.

პროგრამა აჩვენებს, რომ ხელმძღვანელთა შერჩევა ეფუძნება რამდენიმე კრიტერიუმს, მათ შორის აკადემიურ კვალიფიკაციას, სამეცნიერო აქტივობას, სწავლებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილებას, მეთოდოლოგიურ კომპეტენციას, ხელმძღვანელის ექსპერტიზასა და სტუდენტის კვლევის თემას შორის შესაბამისობას. აღნიშნული

მიდგომა ხელს უწყობს სათანადო აკადემიური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას და სფეროს შესაბამისი, მაღალი ხარისხის კვლევითი პროექტების განვითარებას.
ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო და პროფესიულ საქმიანობაში, მათ შორის კვლევით პროექტებში, კონფერენციებში, პუბლიკაციებსა და აკადემიურ და ინდუსტრიულ პარტნიორებთან თანამშრომლობაში. მათი ინტერდისციპლინური ექსპერტული ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის ინტეგრირებული ბუნების გათვალისწინებით, რომელიც აერთიანებს ტექნიკურ, ანალიტიკურ და ბიზნესზე ორიენტირებულ კომპეტენციებს.

პროგრამა ასევე აღწერს ხელმძღვანელობის სტრუქტურირებულ მექანიზმებს, მათ შორის ხელმძღვანელობის სხვადასხვა პროცესუალურ ეტაპებს, რომლებიც მოიცავს კვლევითი წინადადების შემუშავებას, კვლევის განხორციელებას, მონაცემთა ანალიზსა და საბოლოო შედეგების გავრცელებას. კვლევითი წინადადებებისა და საბოლოო კვლევითი პროექტების მომზადების პროცესში სტუდენტები იღებენ რეგულარულ კონსულტაციებსა და აკადემიურ მხარდაჭერას. ხელმძღვანელებისა და სტუდენტების თანაფარდობა, ზოგადად, უზრუნველყოფს სათანადო ხელმძღვანელობასა და ინდივიდუალიზებულ აკადემიურ მხარდაჭერას.

ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება მთლიანობაში შესაბამისია, ზოგიერთი ხელმძღვანელის კვლევითი საქმიანობის ინტენსივობა და საერთაშორისო სამეცნიერო ხილვადობა შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს. კერძოდ, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის გაზრდა, ინდექსირებულ რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნება და გლობალურ დონეზე აღიარებულ კვლევით ქსელებში ჩართულობა კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამის კვლევით შესაძლებლობებსა და საერთაშორისო აკადემიურ პროფილს.

გარდა ამისა, პროგრამისთვის სასარგებლო იქნებოდა ხელმძღვანელობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემდგომი ფორმალიზება და დოკუმენტირება, მათ შორის ხელმძღვანელობის ეფექტურობის უფრო სისტემური მონიტორინგი, სტუდენტთა უკუკავშირის ანალიზი და ხელმძღვანელთა პროფესიული განვითარების აქტივობები. აღნიშნული მექანიზმების გაძლიერება ხელს შეუწყობდა ხელმძღვანელობის პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას და პროგრამის ფარგლებში კვლევის ხარისხის შემდგომ მხარდაჭერას.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**8**	**4**	**4**
- პროფესორი	2	2	1
- ასოცირებული პროფესორი	2	1	
- ასისტენტ–პროფესორი	4	1	3
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის დოკუმენტაცია
- პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურა და შეფასების კრიტერიუმები
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;

- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაცები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს პერსონალის შეფასებისა და განვითარების სისტემა, რომელიც მოიცავს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს და შეფასების შედეგებს აკავშირებს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცესებთან. აკადემიური პერსონალი ფასდება ყოველწლიურად, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალი წელიწადში ორჯერ. შეფასების პროცესი შეიძლება მოიცავდეს

თვითშეფასებას, უშუალო ხელმძღვანელის შეფასებას და კოლეგებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მმართველი დონის გადაწყვეტილებების მიღების ინფორმირებისთვის. პერიოდულად ტარდება პერსონალის კმაყოფილების კვლევებიც. 2025 წლის კვლევამ დაადასტურა პერსონალის კმაყოფილება სამუშაო გარემოთი, ხელმისაწვდომი რესურსებითა და ადმინისტრაციული მხარდაჭერით, ხოლო გასაუმჯობესებელი მხარეები, მათ შორის სარეკრეაციო სივრცეები, კაფეტერიის და სტუდენტური სერვისები, აისახა შესაბამის სამოქმედო გეგმებში. ეს მიუთითებს, რომ პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები გროვდება, ხდება მათი გაანალიზება და გამოიყენება ინსტიტუციური გაუმჯობესებისთვის.

პროგრამის პერსონალის დატვირთვის მოდელი მოიცავს სწავლების, კვლევისა და საუნივერსიტეტო მომსახურების კომპონენტებს. თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ სწავლება შეადგენს დატვირთვის 40-60%-ს, კვლევა 30-50% ს, ხოლო აკადემიური და ადმინისტრაციული მომსახურება 10-20% ს. ეს ადასტურებს მოსაზრებას, რომ როგორც სწავლება, ისე კვლევა აღიარებულია აკადემიური საქმიანობის ძირითად განზომილებებად. ამ პროგრამის კონტექსტში შემოქმედებითი ან საშემსრულებლო საქმიანობა პირდაპირ რელევანტური არ არის, ვინაიდან პროგრამა კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროს მიეკუთვნება ბიზნესში. ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ შესაბამისი კვლევითი გამოცდილება, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, მეთოდოლოგიური კომპეტენცია და სამაგისტრო საფეხურის კვლევითი პროცესის ხელმძღვანელობის გამოცდილება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაგისტრატურის კვლევითი კომპონენტისთვის.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული გაუმჯობესებისა და კვლევითი მხარდაჭერის მექანიზმებს. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს კვლევითი პროექტების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო სტატიების მომზადებისა და გამოქვეყნების, ასევე ადგილობრივ და

საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას. აფილირებულ პერსონალს წვდომა აქვს უნივერსიტეტის მისიის შესაბამის კვლევით დაფინანსებაზე, ხოლო წამახალისებელი მექანიზმები გამოიყენება უწყვეტი აკადემიური და სამეცნიერო კონტრიბუციის ხელშესაწყობად. გარდა ამისა, ASU-Cintana-ს პარტნიორობა აძლიერებს აკადემიური ვიზიტების, კონფერენციების, ვორქშოფების, ერთობლივი კვლევითი გრანტებისა და თანამშრომლობითი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. აღნიშნული მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხელმძღვანელებისთვის შესაბამისია.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა დამატებით უწყობს ხელს პერსონალის განვითარებას დაგეგმილი ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების აქტივობების მეშვეობით. მასში განსაზღვრულია, რომ აკადემიური პერსონალის ტრენინგები ფოკუსირებულია სწავლების პრაქტიკებზე, შეფასების მეთოდოლოგიებზე, კურიკულუმის განვითარებასა და სწავლის შედეგების შეფასებაზე. იგი ასევე ითვალისწინებს ვორქშოფებისა და სემინარების ჩატარებას შეფასების მეთოდების, კურიკულუმის განვითარების, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და შეფასების შედეგების გაუმჯობესებისთვის გამოყენების საკითხებზე. პროფესიული განვითარების შესაძლებლობები მოიცავს რეგულარულ ვორქშოფებს, სემინარებს, კონფერენციებს, ქსელურ თანამშრომლობას, ონლაინ კურსებს, სერტიფიცირების შესაძლებლობებსა და კოლეგიალურ სწავლებას. პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს ტრენინგების ეფექტურობის შეფასებას მონაწილეთა უკუკავშირისა და გავლენის შეფასების საშუალებით.

პროგრამა ასევე სარგებლობს ციფრული და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. თვითშეფასების ანგარიში ადასტურებს Canvas LMS-ის გამოყენებას, არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტის Content Repository-სთან ინტეგრაციასა და სწავლება-სწავლის ტექნოლოგიებით გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენებას.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტს აქვს პერსონალის შეფასების, კმაყოფილების კვლევების, პროფესიული განვითარების, კვლევითი მხარდაჭერისა და საერთაშორისო აკადემიური

ჩართულობის დოკუმენტირებული სისტემა. მთავარ ძლიერ მხარეებს წარმოადგენს აკადემიური პერსონალის ყოველწლიური შეფასება, კმაყოფილების კვლევის შედეგების გამოყენება სამოქმედო დაგეგმვაში, კვლევისა და კონფერენციების ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერა, ასევე ASU–Cintana-ს პარტნიორობის ფარგლებში შექმნილი შესაძლებლობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ზოგადად, ადეკვატურია სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე წვდომას, მათ შორის სათანადოდ აღჭურვილ აუდიტორიებს, კომპიუტერულ ლაბორატორიებს, საკონფერენციო და საკონსულტაციო სივრცეებს, საბიბლიოთეკო რესურსებსა და ციფრულ სასწავლო პლატფორმებს, რომლებიც აუცილებელია სწავლების, სწავლისა და კვლევითი აქტივობების ეფექტურად განხორციელებისთვის.

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვილი საგანმანათლებლო სივრცეები, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიები და სასწავლო სივრცეები, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტთან და აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც საჭიროა ხელოვნური ინტელექტის, პროგრამირების, მონაცემთა ანალიტიკისა და ბიზნესთან დაკავშირებული სასწავლო კურსებისთვის. ადგილზე-ვიზიტის დროს დადასტურდა კომპიუტერული ლაბორატორიებისა და საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა. ლაბორატორიებში უზრუნველყოფილია პროგრამისთვის რელევანტურ პროგრამულ ინსტრუმენტებსა და პლატფორმებზე წვდომა, რომელიც მოიცავს პროგრამირების გარემოებს, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებს, ღრუბლოვან ტექნოლოგიებსა და მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტებს, რომლებიც სასწავლო გეგმის ფარგლებში გამოიყენება.

უნივერსიტეტს ასევე აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო, მეთოდოლოგიური და სამეცნიერო რესურსებით. სტუდენტებსა და

აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვთ როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მასალებზე, მათ შორის სახელმძღვანელოებზე, სამეცნიერო პუბლიკაციებზე, ელექტრონულ სახელმძღვანელოებსა და სპეციალიზებულ მონაცემთა ბაზებზე. საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა მოიცავს კომპიუტერულ ტექნიკას, ელექტრონული კატალოგიზაციის სისტემებსა და სასწავლო სივრცეებს, რომლებიც ხელს უწყობს დამოუკიდებელ სასწავლო და კვლევით საქმიანობას.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებსა და სამეცნიერო რესურსებზე, მათ შორის წამყვან აკადემიურ გამომცემლებთან და ციფრულ ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობის გზით. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა, კვლევით პუბლიკაციები და საგანმანათლებლო მასალები ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის კამპუსიდან, ისე დისტანციურად, რაც ხელს უწყობს პროგრამის კვლევით, ანალიტიკურ და პრაქტიკულ კომპონენტებს. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებისა და საერთაშორისო აკადემიური სტანდარტების ინტეგრირებას სწავლება-სწავლის პროცესში.

ამავდროულად, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და დამხმარე დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ რამდენიმე სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა შემდგომ გადახედვასა და განახლებას საჭიროებს. ცალკეულ შემთხვევებში, მითითებულ მასალებზე წვდომა შეზღუდული იყო, გამოყენებული იყო მოძველებული გამოცემები, ან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და რესურსების ხელმისაწვდომობა ელექტრონული მონაცემთა ბაზების საშუალებით საკმარისად არ იყო უზრუნველყოფილი. შესაბამისად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სისტემური გადახედვა, რათა უზრუნველყოს სავალდებულო და დამატებითი მასალის ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის და ისიც, რომ მასალები მუდმივად ახლდებოდეს და სრულად შეესაბამებოდეს დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. ეს

კიდევ უფრო გააძლიერებს სწავლებ- სწავლის პროცესის ხარისხს და გააუმჯობესებს სტუდენტთა წვდომას სათანადო აკადემიურ რესურსებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაცები](#).

- რეკომენდებულია, ყველა სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა იყოს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი, განახლებული და სრულად შეესაბამებოდეს დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.4 მატერიალური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი ბიუჯეტი მოიცავს მრავალწლიან ფინანსურ პროგნოზს 2026-2032 წლებისთვის და ითვალისწინებს სწავლის საფასურზე დაფუძნებულ შემოსავლებს, რეკრუტირებისა და მარკეტინგის ხარჯებს, წმინდა მოგებას, პირდაპირ სახელფასო ხარჯებს, არაპირდაპირ სახელფასო ხარჯებს, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხარჯებს, საოპერაციო ხარჯებსა და ასევე ინვესტიციებს კომპიუტერებსა და საბიბლიოთეკო რესურსებში. შესაბამისად, ბიუჯეტი მოიცავს სათანადო კატეგორიებს პროგრამის ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის და აჩვენებს, რომ პროგრამა, სავარაუდოდ, გამოიმუშავებს საკმარის შემოსავალს ძირითადი სასწავლო და საოპერაციო ხარჯების დასაფარად. ამ თვალსაზრისით, პროგრამა ფინანსურად განხორციელებადია მთლიანი საბიუჯეტო დაგეგმვის დონეზე.

თუმცა, ბიუჯეტი, ორ წელზეა გაწერილი და ცალკე არ ასახავს სტუდენტთა განსხვავებულ სასწავლო ტრაექტორიებს. მასში არ ჩანს, თუ რამდენი სტუდენტი დაასრულებს პროგრამას ერთ წელში, რამდენი გააგრძელებს სწავლას მეორე წელსაც და რამდენი შეიძლება გადავიდეს ASU-ში მეორე წლის გასავლელად. ეს გავლენას ახდენს შემოსავლების პროგნოზზე, სწავლების ხარჯების გაანგარიშებაზე, კვლევითი კომპონენტის ხარჯებსა და გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის შეფასებაზე.

საერთო ჯამში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა და ბიუჯეტი, ზოგადად, განხორციელებადია. სასურველია მოდელის დამატებითი განმარტება. კერძოდ, უნივერსიტეტს შეუძლია გადახედოს ან განმარტოს ბიუჯეტი ისე, რომ იგი ასახავდეს პროგრამის რეალურ სტრუქტურას, მათ შორის ერთწლიან და ორწლიან ტრაექტორიებს, სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებულ დაშვებებს, ASU-ში მობილობის სცენარს, შემოსავლების განაწილებასა და შესაბამის ხარჯებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაცები](#).

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს ან სათანადოდ დაასაბუთოს ბიუჯეტი ისე, რომ იგი ასახავდეს პროგრამის რეალურ სტრუქტურას, მათ შორის ერთწლიანი და ორწლიანი სწავლების ტრაექტორიებს, სწავლის გაგრძელების პირობებს, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის სცენარს, შემოსავლების განაწილებასა და შესაბამის ფინანსურ დანახარჯებს.
-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4,5.](#)პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალურად განსაზღვრული სისტემა, რომელიც ეფუძნება PDCA ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა პროგრამის შეფასებას აღწერს როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და უწყვეტ პროცესს, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს, მაკორექტირებელ ქმედებებსა და შემდგომ მონიტორინგს. წარმოდგენილი კვლევის ანგარიშები ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აგროვებს უკუკავშირს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან სასწავლო კურსების, სწავლების ხარისხის, გამოცდების, სერვისების, ინფრასტრუქტურის, ინტერნაციონალიზაციისა და ინსტიტუციური პროცესების შესახებ.

დოკუმენტები მიუთითებს პროგრამის პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის თანამშრომლობაზე პროგრამის განვითარების, მტკიცებულებების შეგროვების, ანალიზისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესებში. პროცესმა ასევე გამოიწვია პროგრამის კონკრეტული ცვლილებები, მათ შორის პროგრამის რესტრუქტურიზაცია მინისტრის 2026 წლის ბრძანების შესაბამისად და დაშვების წინაპირობებში კომპიუტერული მეცნიერების საბაზისო ცოდნის მოთხოვნის დამატება. ეს აჩვენებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები და მარეგულირებელი ანალიზი გათვალისწინებული იყო პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

თუმცა, ინტერვიუებმა გამოავლინა პროცესის თანამშრომლობითი ხასიათისა და პრაქტიკული ეფექტურობის გარკვეული შეზღუდვები. მიუხედავად იმისა, რომ

თვითშეფასების ჯგუფში შედიოდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, ძირითადი აკადემიური პერსონალი და Cintana Alliance-ის გარე ექსპერტი, მასში არ იყვნენ ჩართულები სხვა არსებული ან მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები ან კურსდამთავრებულები. ვინაიდან პროგრამა ახალია და მას ჯერ არ ჰყავს საკუთარი სტუდენტები ან კურსდამთავრებულები, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა გააძლიერებდა თვითშეფასების პროცესსა და დაინტერესებული მხარეების თვალთახედვის გაზიარებას.

ინტერვიუების დროს გამოვლენილი კიდევ ერთი საკითხი იყო, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა ზოგიერთმა პერსონალმა ვერ აჩვენა დაგეგმილი სასწავლო კურსების, პროგრამის სტრუქტურისა და განხორციელების საერთო ლოგიკის საკმარისი ცოდნა. ეს მიუთითებს იმ გამოწვევაზე, რომელიც უკავშირდება პროგრამის პერსონალის სრულ ჩართულობას შიდა ხარისხის უზრუნველყოფასა და პროგრამის დონის გადაწყვეტილებების მიღებაში. აღნიშნული ასევე მიუთითებს უფრო ძლიერი შიდა კომუნიკაციის, პერსონალის ორიენტაციისა და პროგრამისთვის სპეციფიური ტრენინგების შეთავაზების საჭიროებაზე, იქამდე, სანამ პროგრამის განხორციელება დაიწყება.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და არსებობს რეგულარული გამოკითხვებზე დაფუძნებული შეფასების პრაქტიკა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის პერსონალი, ერთობლივად იმუშავებენ გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრაზე. თუმცა, ამ ახალი პროგრამის შემთხვევაში, აღნიშნული თანამშრომლობის ეფექტურობა ჯერ ვერ დასტურდება შედეგებით. მნიშვნელოვანი იქნება, რომ გამოვლენილი სუსტი მხარეები გადაითარგმნება მკაფიო სამოქმედო გეგმაში, პასუხისმგებელი პირების, ვადებისა და შემდგომი მონიტორინგის მექანიზმების მითითებით.

ელექტრონულ და ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ სწავლებასთან დაკავშირებით, პროგრამა იყენებს Canvas LMS-სა და ASU-სთან დაკავშირებულ ციფრულ მასალებს, ხოლო

ინსტიტუციური კვლევები მოიცავს კითხვებს ციფრული ინსტრუმენტების, ონლაინ პლატფორმებისა და IT მხარდაჭერის შესახებ. თუმცა, წარმოდგენილი მტკიცებულებები ძირითადად ადასტურებს ციფრული ინფრასტრუქტურისა და მონიტორინგის ზოგადი მექანიზმების არსებობას. ამ კონკრეტულ პროგრამაში ელექტრონული სწავლების, დისტანციური სწავლებისა და ონლაინ შეფასების მონიტორინგის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ახლად შემუშავებული რეგულაციის საფუძველზე განხორციელდება, რომელიც ვიზიტის დროს იყო მოთხოვნილი. გასაუბრებების შედეგების თანახმად, ელექტრონული/დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ადრე არ იყო შემუშავებული, ვინაიდან ელექტრონული სწავლება არ ხორციელდებოდა.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტს გააჩნია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტირებული სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია PDCA ციკლთან და მხარდაჭერილია ინსტიტუციური კვლევებისა და ანგარიშგების მექანიზმებით. ამავდროულად, ამ ახალი პროგრამის შემთხვევაში სრული შესაბამისობა დამოკიდებულია თვითშეფასებაში დაინტერესებული მხარეების უფრო ძლიერ ჩართულობასა და პროგრამის პერსონალის მიერ პროგრამის უკეთ გაცნობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მექანიზმები, ინსტრუმენტები და მათი განხორციელების შედეგები.

[რეკომენდაცები](#).

- რეკომენდებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერება პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში, აგრეთვე პროგრამის

განმახორციელებელი პერსონალის პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ახალია და ამჟამად გადის აკრედიტაციას; შესაბამისად, მას ჯერ არ დაუსრულებია გარე ხარისხის უზრუნველყოფის წინა ციკლი და არ მიუღია აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, ამ კონკრეტული პროგრამისთვის გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების პერიოდული გამოყენება ჯერ ვერ შეფასდება განხორციელებული თანმდევი ქმედებების საფუძველზე. ამავდროულად, თვითშეფასების ანგარიში აღწერს ინსტიტუციურ მექანიზმს, რომლის მიხედვითაც აკრედიტაციის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები განიხილება და ხორციელდება პროგრამის განვითარების კომიტეტის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციაში. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, გარე შეფასებას,

ბენჩმარკინგსა და რეკომენდაციების გამოყენებას პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

ამ პროგრამის შემთხვევაში, გარე ხარისხთან დაკავშირებული წვლილი ძირითადად აისახება მის შემუშავებაში არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და Cintana Alliance-თან თანამშრომლობის საშუალებით. თვითშეფასების ანგარიშისა და გასაუბრებების მონაწილეების მიხედვით, პროგრამას ვალიდაცია გაუწია არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მასში ასახულია ASU პროგრამის კურსები და სასწავლო მასალები, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე წელია ხორციელდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები

[რეკომენდაცები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5,2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც 5.1 კომპონენტის ფარგლებშია აღწერილი, უნივერსიტეტს აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მონაცემთა რეგულარული შეგროვებისა და ანალიზისთვის, რომელიც მოიცავს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს, სასწავლო კურსების შეფასებას, გამოცდების პროცესის შეფასებას, აკადემიური მოსწრების ანალიზსა და სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის უკუკავშირს. შესაბამისად, ეს ნაწილი ფოკუსირებულია კონკრეტული პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ასპექტებზე.

ვინაიდან პროგრამა ახალია და ამჟამად გადის აკრედიტაციას, პროგრამის მონიტორინგის შედეგები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტს აქვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან უკუკავშირის შეგროვებისა და ანალიზის ინსტიტუციური გამოცდილება. აღნიშნული მექანიზმები ამოქმედების შემდეგ უნდა გავრცელდეს მოცემულ პროგრამაზეც, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

პროგრამა უკვე შეიცვალა განვითარების და თვითშეფასების პროცესში. კერძოდ, ცვლილებები განხორციელდა მინისტრის 2026 წლის ბრძანების ასახვის მიზნით, რომელიც მოიცავდა პროგრამის პირველი და მეორე ნაწილების რესტრუქტურიზაციასა და დაშვების წინაპირობებში კომპიუტერული მეცნიერების საბაზისო ცოდნის მოთხოვნის დამატებას. ეს აჩვენებს, რომ დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ადაპტირება მარეგულირებელი მოთხოვნებისა და შიდა ანალიზის საფუძველზე.

სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების შეფასება დამკვიდრებული ინსტიტუციური პრაქტიკაა. სტუდენტები სასწავლო კურსებსა და ლექტორებს აფასებენ კითხვარების საშუალებით, რომლებიც მოიცავს სწავლების ხარისხს, კურსის შინაარსს, შეფასების მეთოდებს, ორგანიზებას, სასწავლო რესურსებსა და საერთო კმაყოფილებას.

სწავლების შეფასება ძირითადად დასტურდება სტუდენტური გამოკითხვების საშუალებით. წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად არ ადასტურებდა ლექციაზე დაკვირვების შაბლონის ან აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგიალური დაკვირვების პროცესის გამოყენებას, თუმცა აღნიშნული მოთხოვნილი იყო და დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა.

პროგრამა მოიცავს სამაგისტრო კვლევით კომპონენტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელობას. დაწესებულებამ ახლახან შეიმუშავა შეფასების ფორმა და ვიზიტის დროს მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა. მისი ფაქტობრივი განხორციელება ჯერ ვერ მოწმდება, ვინაიდან პროგრამა ჯერ არ დაწყებულა. აღნიშნული ფორმა ფორმალურად უნდა ინტეგრირდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში და გამოყენებული უნდა იყოს მაშინ, როდესაც სტუდენტები კვლევით კომპონენტზე გადავლენ.

პროგრამა შემუშავებულია არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და Cintana Alliance-თან თანამშრომლობით, რაც საერთაშორისო რეფერირების საფუძველს ქმნის. თუმცაღა, მსგავსი უცხოური პროგრამების სისტემური ბენჩმარკინგი არ განხორციელებულა. უნდა დაინერგოს შედარების პერიოდული პროცესი, რათა კურიკულუმი, სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობები, კვლევითი კომპონენტი, სწავლების მეთოდები და კურსდამთავრებულის პროფილი შედარებული იყოს შესაბამის საერთაშორისო პროგრამებთან და შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკები იყოს გამოყენებული. შრომის ბაზრის ანალიზიც არ აღმოჩნდა საკმარისად დეტალური და სიღრმისეული.

საერთო ჯამში, მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ინსტიტუციური მექანიზმები არსებობს, თუმცა მათი უშუალოდ ამ პროგრამაზე განხორციელება პროგრამის ამოქმედების შემდეგ უნდა დადასტურდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მექანიზმები, ინსტრუმენტები და მათი განხორციელების შედეგები.

[რეკომენდაციები](#).

- რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის ყველა შესაბამისი ინსტრუმენტის სრულად გამოყენება, მათ შორის, ბენჩმარკინგის ანალიზისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების უფრო სიღრმისეული ანალიზის განხორციელება.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5,3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან